პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 12 სექტემბერი, 1948 წ. № 182 (8226). ფასი 20 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ ტანკისტის დღეს და აღნიშნავენ ტანკისტთა და ტანკმშენებელთა წარმატებებს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს და ტანკმშენებლებს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

მამაცი საბჭოთა ტანკისტები

საბჭოთა ხალხი თავის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავს ტანკისტის დღეს.

საბჭოთა არმიის სატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა უდიდესი როლი შეასრულეს 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში. მათი ამ დამსახურების, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ჯავშანსატანკო ტექნიკით აღჭურვის საქმეში ტანკმშენებელთა დამსახურების აღსანიშნავად 1946 წელს დაწესდა ყოველწლიური დღესასწაული ტანკისტის დღე.

აღნიშნავენ რა ტანკისტის დღეს, საბჭოთა ადამიანების მადლობისა და სიყვარულის პირველი გრძნობები მიმართულია დიდი სტალინისადმი, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ჯავშანსატანკო ჯარების შექმნა და განვითარება.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დამთავრების პირველ წლებში ამხანაგ სტალინის განსაკუთრებული მზრუნველობის მეოხებით გაიშალა ახალგაზრდა საბჭოთა კონსტრუქტორების დაძაბული შემოქმედებითი შრომა საკუთარი ტანკების ახალი ნიმუშების შესაქმნელად. სტალინური ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა არმია აღიჭურვა პირველხარისხოვანი სატანკო ტექნიკით.

საბჭოთა ტანკებმა პირველი საბრძოლო ნათლობა 1938-1939 წლებში მიიღეს. ხასანის ტბასთან, ხალხინგოლთან და ფინეთთან ბრძოლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა ტანკმშენებლებმა და ტანკისტებმა ღირსეულად გადასჭრეს პარტიისა და დიდი სტალინის მიერ მათ წინაშე დასმული ამოცანები. მათ არა მარტო სწრაფად აითვისეს სატანკო ტექნიკის საუკეთესო მიღწევები, არამედ შექმნეს ისეთი საბრძოლო მანქანები, რომლებიც თავისი შეიარაღებითა და ჯავშნის სიმტკიცით ბევრად უსწრებდნენ უცხოურ ტანკებს. მტრებიც კი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ საბჭოთა ტანკების ეს უპირატესობა.

ამხანაგმა სტალინმა სიყვარულით გამოზარდა სატანკო ჯარების კადრები. თვრამეტი წლის წინათ ამხანაგ სტალინის ინიციატივით შეიქმნა წითელი არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სამხედრო აკადემია, რომელმაც ათასობით ტანკისტი ოფიცერი მოამზადა. დიდი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სატანკო ჯარების ორგანიზაციის საკითხებსაც. ასეთი მზრუნველობის შედეგად საბჭოთა არმიას სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულად თავდასხმის მომენტისათვის თავის რიგებში ჰყავდა მძლავრი სატანკო ჯარები.

ომის პირველ წლებში გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ერთგვარი უპირატესობა ჰქონდათ ტანკების რაოდენობის მხრივ. მტრის ამ უპირატესობას საბჭოთა ტანკისტებმა დაუპირისპირეს სიმედგრე, მამაცობა და სოციალისტური სამშობლოსათვის თავგანწირვა. ამასთან, საბჭოთა ტანკმშენებლებმა დიდი სტალინის მოწოდების პასუხად მზარდი მასშტაბით დაიწყეს ტანკების გამოშვება. ტანკების რაოდენობა ომის წინა პერიოდთან შედარებით წითელ არმიაში 15-ჯერ გაიზარდა.

ხალხის მხარდაჭერითა და მზრუნველობით აღფრთოვანებული საბჭოთა ტანკისტები, მათ შორის მრავალი ქართველიც, გმირობისა და ვაჟკაცობის შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებდნენ ფრონტებზე. როგორც თავდაცვითს ბრძოლებში, ისევე შეტევითი ოპერაციების დროს ჩვენი სატანკო და მექანიზებული ნაწილები ბრწყინვალედ ასრულებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებებს და მტერს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ.

სამშობლოს წინაშე საბჭოთა ტანკისტების საბრძოლო დამსახურებას მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა სტალინმა. „დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში. ბრძოლების ასპარეზზე საბჭოთა ტანკისტებმა გვიჩვენეს უმაგალითო მამაცობა და ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე“ (სტალინი).

ომისშემდგომმა სტალინურმა ხუთწლედმა საბჭოთა ხალხის წინაშე ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები გადაშალა. დიდი და დაძაბული შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელიწადში შესასრულებლად. საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც არ ივიწყებს საერთაშორისო რეაქციის ფანდებს, რომელიც ახალი ომების გეგმებს იმუშავებს. ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხის ზრუნვა შეიარაღებულ ძალებზე, მათ შორის სატანკო და მექანიზებულ ჯარებზე, კიდევ უფრო გაძლიერდა.

საბჭოთა ხალხმა თავისი შეიარაღებული ძალების წინაშე დააყენა ამოცანა—ფხიზლად დაიცვას სისხლით მოპოვებული მშვიდობა, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, სოციალიზმის ქვეყნის სახელმწიფო ინტერესები. ეჭვი არაა, სატანკო და მექანიზებული ჯარების მთელი პირადი შემადგენლობა ღირსეულად გაამართლებს ჩვენი ხალხის, პარტიისა და ამხანაგ სტალინის დიდ ნდობას, მომავალშიც წარმატებით გადასჭრის მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკმშენებლებს და ტანკისტებს!

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ი. თ. კვესიტაძე გაათავისუფლა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან, რადგან მან ვერ უზრუნველჰყო მუშაობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში დანიშნულია ამხ. ა. ს. ბედიაშვილი.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. ქ. ს. გაბრიჩიძე ტრესტ „საქმშენის“ მმართველის თანამდებობიდან, თანახმად პირადი განცხადებისა, ავადმყოფობის გამო.

ტრესტ „საქმშენის“ მმართველად დანიშნულია ამხ. შ. ა. გვიჩია.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. № სატანკო ნაწილის მეცადინეობაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1948 წლის 12 სექტემბერი № 59 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ტანკისტებო და ტანკმშენებლებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო, მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ **ტანკისტის დღეს** და აღნიშნავენ ტანკისტთა და ტანკმშენებელთა წარმატებებს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაში.

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს—**ტანკისტის დღეს** და ვუსურვებ ტანკისტებსა და ტანკმშენებლებს ახალ წარმატებებს ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების განვითარების საქმეში.

ტანკისტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1948 წლის 12 სექტემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს და ტანკმშენებლებს!

გაუმარჯოს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

საზეიმო სხდომა ოფიცერთა სახლის პარკში

გუშინ, 11 სექტემბერს, ოფიცერთა საოლქო სახლის საზაფხულო პარკში შესდგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ტანკისტის დღისადმი.

ბელადის პორტრეტებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით მორთულ პარკში თავი მოიყარეს თბილისის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებმა, სახელოვანმა ტანკისტებმა, მათი ოჯახის წევრებმა. საღამოს 8 საათზე პარკის საზაფხულო თეატრში გაიხსნა საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან: საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ტოლბუხინი, გენერალ-პოლკოვნიკი მ. კაზაკოვი, გენერალ-მაიორი დ. კოლესნიკოვი, გენერალ-მაიორი ა. კისელიოვი, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ე. სოკოლსკი, კონტრ-ადმირალი ე. იგნატიევი, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ი. დუბოვოი, გენერალ-მაიორი ვ. ზარელუა, გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ე. ჩერქეზია და ა. ჯიშიაშვილი.

საზეიმო სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი.

მოხსენებით „ტანკისტის დღე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების დღესასწაულია“ გამოვიდა სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ა. გეტმანი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელის და ორგანიზატორის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინისადმი.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

შეასრულეს წლიური გეგმები

ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი თ. სურგულაძე, მთავარი ტექნოლოგი პ. თენეიშვილი) 101,9 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის გადამუშავებისა და მზა პროდუქციის გამომუშავების 1948 წლის გეგმა. აცანის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ბ. მემარნიშვილი, მთავარი ტექნოლოგი გ. პინაიშვილი) ჩაის მზა პროდუქციის გამომუშავების წლიური დავალება გაანაღდა 100,6 პროცენტით, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი დ. ცინცაბაძე, მთავარი ტექნოლოგი გ. წილოსანი) კი —100,5 პროცენტით.

აღნიშნული ფაბრიკები განაგრძობენ ჩაის ნედლეულის გადამუშავებას.

ამუშავდა საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურები

ქობულეთი (სპეც. კორ.). დაგვის სასოფლო საბჭოს მოლოტოვისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს 175-175 ცხენისძალიანი ელექტროსადგურების მშენებლობა. სადგურები უკვე ამუშავებულია. ელექტროსადგური ახლახან ააგეს და აამუშავეს აგრეთვე ჩაქვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“.

დროშები და პრემიები

რესპუბლიკურმა ჟიურიმ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. კეცხოველის თავმჯდომარეობით განიხილა რესპუბლიკური და რაიონული გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1948 წლის მეორე კვარტალის შედეგები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია თითოს 7.500 მანეთი მიაკუთვნა მეცხრე (ახალქალაქის) საგზაო-საექსპლოატაციო უბანს (უბნის უფროსი ამხ. სარქისიანი), გურჯაანის რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. კობახიძე), ქვემო სვანეთის რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ონიანი).

ჟიურიმ აგრეთვე აღნიშნა გაგრის, ჭიათურის, ასპინძის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ბოგდანოვკისა და წულუკიძის რაიონების და მე-13 (ფოთის) საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კარგი მუშაობა.

კინოდანადგარები საკოლმეურნეო სოფლებში

მახარაძე (საქ. კორ.). სოფელ ნატანების ბერიას, შრომის ორჯონიკიძის და ჭანიეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებმა თავიანთ კლუბებში მოაწყეს სოფლის სტაციონარული კინოდანადგარები.

აღნიშნულ კინოდანადგარებს კინოსურათებით ამარაგებენ ბათუმიდან წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ნატანების კოლმეურნეობაში ყოველთვიურად უჩვენებენ 15-18 კინოსურათს, შრომისა და ჭანიეთის კოლმეურნეობებში კი—10-მდე სურათს.

აღსანიშნავია, რომ ამ დანადგარებისათვის მექანიკოსები მომზადებულ იქნენ ამავე კოლმეურნეობებიდან კინომექანიკოსთა მოსამზადებელ 6-თვიან კურსებზე.

გარდა ამისა, მახარაძის რაიონული კინოთეატრის მოძრავი კინოდანადგარი ყოველთვიურად რაიონის 20-22 კოლმეურნეობაში უჩვენებს კინოსეანსებს.

კინოსეანსებს ყველგან დიდძალი კოლმეურნეები ესწრებიან.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ამხანაგო სტალინ, რომ ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა ვადამდე, 1948 წლის 25 აგვისტოს, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ჩაბარებულია 2 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 2 მილიონი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. გუსაროვი

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ. კისელიოვი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ბელორუსიის სს რესპუბლიკაში ა. კარპოვი

ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. კოსტიუკი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 600.000 ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, დამზადებულია 2.600.000 ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე შარშან.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა ერთი მილიონი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ბოგოლიუბოვი

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. რაზაკოვი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში ხ. ტაშტულინი

ყირგიზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. ბაგრამოვი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კიევის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, შარშანდელზე 14 დღით ადრე, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 800.000 ფუთით მეტი პური, ვიდრე 1947 წელს და 1.950.000 ფუთით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. სასურსათო კულტურები — ხორბალი და ჭვავი ჩაბარებულია 12.840.000 ფუთით მეტი, ვიდრე 1947 წელს, აქედან ხორბალი—7.085.000 ფუთით მეტი.

დონისა და ყუბანის მიწის მუშაკთა კეთილშობილური მაგალითის მიხედვით, კიევის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა ერთი მილიონი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ამ ვალდებულებას ღირსეულად შევასრულებთ.

უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტის მდივანი ზ. სერდიუკი

მშრომელთა დეპუტატების კიევის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ოლეინიკი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული კიევის ოლქში პ. პოდკუიკო

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ფ. სავჩენკო

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

სიხარულით მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის სსრ ჩერნოვიცის ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სასურსათო კულტურების — ხორბლისა და ჭვავის — დამზადების გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით. წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 1.084 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

დონისა და ყუბანის მიწის მუშაკთა მოწოდების პასუხად ჩერნოვიცის ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 100 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

უკრაინის კ. პ. (ბ) ჩერნოვიცის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. გაპი

მშრომელთა დეპუტატების ჩერნოვიცის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ბულდოვიჩი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ჩერნოვიცის ოლქში გ. ხარჩენკო

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი გ. დუდნიკი

მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერებისათვის

★

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი

★

ამ ერთი თვის მანძილზე საბჭოთა მეცნიერების ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 31 იანვარიდან 7 აგვისტომდე ჩატარდა ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული მნიშვნელობის სესია. სესიაზე აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ წაკითხა მოხსენება: „მდგომარეობა პიოლოგიურ მეცნიერებაში", რომელიც გამო ფრიად ფართო პაექრობა გაიმართა.

აკადემიკოს ლისენკოს მოხსენება მოწონებულია საკავშირო კომენისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ და ასახავს ბოლშევიკური პარტიის ხაზს.

აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენებაში ღრმად და ნათლად არის ნაჩვენები, რომ „პიოლოგიურ მეცნიერებაში არსებობს ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულება: ერთი მიმართულებაა პროგრესული, მატერიალისტური — **მიჩურინული,** რომელსაც მისი დამაარსებელი, გამოჩენილი საბჭოთა ბუნებისმეტყველის, ბუნების დიდი გარდაქმნელის ი. ვ. მიჩურინის სახელი ეწოდა; მეორე მიმართულებაა რეაქციულ-იდეალისტური, **ვეისმანისტური** (შენდელისტერ-მორგანისტული), რომლის დამაარსებლები არიან რეაქციონერი ბიოლოგები ვეისმანი, შენდელი, მორგანი".

ბიოლოგიური მეცნიერება პირველ რიგში არის მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმის განვითარების შესახებ. ამ განვითარების სწორი და ღრმა მეცნიერული გაგება მნიშვნელოვანი მომენტია საბჭოთა მოქალაქის მსოფლმხედველობის ფორმირებისა. ცოცხალი ორგანიზმის განვითარების მეცნიერული საფუძველი კი დიალექტიკურ-მატერიალისტურ კანონებზეა აგებული. ამ საფუძველის სწორი გაგება შესაძლებლობას „მოგვცემს წარვართოთ ცოცხალი ორგანიზმის განვითარება ადამიანის სურვილებისამებრ.

მარქსი თავის „კაპიტალში" სწერს: „მრავრა პირველ ყოვლისა არის პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავის მოქმედებით განსაზღვრავს, აწესებიგებს და კონტროლს უწევენ ნივთიერების ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირველესად, ბუნებრივ ბუნების ძალა".

მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ ცოცხალი ორგანიზმები ვითარდებიან. მართლაც დღეკამდელი ცოცხალი ორგანიზმი, — ესაა გეშინდელი განვითარების შედეგი, დღეკამდელი არ ჰგავს ეშინდელს ისე, რომგორც ხვალინდელი არ ეგვანება დღეკამდელს.

აკადემიკოსმა ლისენკომ თავის მოხსენებაში იშვიათი სიღრმით და ნათლად გვიჩვენა, თუ რა არის საღი, ჩვენთვის მისაღები თანამედროვე ბიოლოგიაში და რა არის დაბავშვებული ღრმოშეპფილი, მავნე, უარსაყოფი.

ვეისმანი და მისი მომდევარნი, რომლებიც იდეალისტური, რეაქციული ბიოლოგიის შუქმტვენი არიან, ამტკიცებენ:

ა) მემკვიდრეობითი ნიშნების მარადიულობას;

ბ) მემკვიდრეობითი ნიშნების მარადიული მატარებელი ქრომოსომია;

გ) ცოცხალი ორგანიზმი ამ მემკვიდრეობითი ნიშნების მატარებელ ქრომოსომის სათავეი და საზომია;

დ) არ არსებობს შობილი და შეილი, არსებობს და-ძმა ე. ი. ყოველი ახალი არსება მხოლოდ განაყოფია წინამორბედისა.

ამ კონცეფციის მიხედვით გამოდის, რომ გენეთიკურების პროცესში შეძენილი ახალი თვისებანი არ შეიძლება გადაცემულ იქნას მემკვიდრეობით.

ამ მემკვიდრეობითობის ქრომოსომულ თეორიას დაუპირისპირდა საბჭოთა აგრობიოლოგიური პროგრესული მეცნიერება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ვლადიმირ ილიჩმა და მიჩურინმა.

მიჩურინული აგრობიოლოგია ამტკიცებს, რომ შეიძლება მემკვიდრეობით გადაცემულ იქნას ისეთი ნიშნები და თვისებები, რომელსაც მეცნარეთა და ცხოველთა ორგანიზმები სიცოცხლის განმავლობაში იძენენ. მიჩურინის შეხედულებამ შრომებში ამით ფრიად მრავალი დამადასტურებელი და ბრეგრძენტყველური ფაქტი მოგვაცეს. მიჩურინმა თავისი სიცოცხლის მანძილზე 300-ზე მეტი ახალი სახეობა გამოიყვანა. აკადემიკოსი ტ. ლისენკო სწერს:

„მემკვიდრეობითობა არის **ცოცხალი სხეულის თვისება თავისი სიცოცხლისათვის, თავისი განვითარებისათვის მოიპოვოს განსაზღვრული პირობები და გარკვეულად უპასუხოს ამა თუ იმ პირობებს".**

ამ პასუხის შედეგად ხდება სწორედ ცვალებადობაც, რომელიც მემკვიდრეობით გადადის. ამის დასადასტურებლად აკადემიკოსმა ლისენკომ მრავალი ექსპერიმენტი ჩატარა. ყველაზე მკაფიო და დამაჯერებელია მაგარი ხორბლის ე. ი. თავთუხების დოლის პუჩრად, ანუ „ბილ პურად გადაქცევის ექსპერიმენტი. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ექსპერიმენტია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დასკვნების გამოსატანად. აქედან ცხადია, რომ არა მარტო ქრომოსომებია მატარებელი მემკვიდრეობითი ნიშნებისა, არამედ მთელი უჯრედი, მთელი პროტოპლასტი და უჯრედი წევნიც კი.

მიჩურინის მოძღვრება დარვინის თეორიის შემოქმედებითი განვითარებაა, იგი ყოველდღიურად პრაქტიკულად ეხმარება სოციალისტურ სოფლის მეურნეობას, ავითარებს ახალ, პროგრესულ აგრობიოლოგიურ მეცნიერებას, ნამდვილად წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას.

აკადემიკოსმა ლისენკომ თავის მოხსენებაში ეს სიტყვებით გამოსულმა სხვა მიჩურინელმა მეცნიერებმა საბართლიანად გააკრიტიკეს ჩვენი უმაღლესი სკოლა და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობა. უკანასკნელ დრომდე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში დიდი გასაკვირი ჰქონდათ ვეისმანისტებს (შენდელისტ-მორგანისტებს). თუ მიჩურინული მოძღვრება ისწავლებოდა, მას რადაც მოკრძალების ეერი ანნდა; მისი ხმა მორცხვად ისმოდა. სასწავლო პროგრამებში გენეტიკის დარგში ძირითად სახელმძღვანელოდ რეკომენდებული იყო სიხოტისა და ლენის „გენეტიკა", პირფშვარდნელი მორგანისტების წიგნი. განვითარების დინამიკაში ძირითადი სახელმძღვანელო მორგანის მ. ზაკადოუკაა — „განვითარების დინამიკა" იყო. მოდაში იყო აგრეთვე სერბრიანკოვის „ცხოველთა პიბრიდიზაცია", „მამკვალეზნის „დარვინიზმის პრობლემები", „ეკოლოგიის ფაქტორები", „ბრაშოს და დელონეს ყოველდა უვარგისი, ანტიმეცნიერული ნაშრომები და სხვ.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებიც (სახელმწიფო უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და პედაგოგიური ინსტიტუტი), სადაც ბიოლოგია ისწავლება, ეს ხარვეზი მაკვიოდ ისახება. განსაკუთრებით გენეტიკაში ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მეშაობდნენ ან ფორმალისტი გენეტიკოსები ან გენეტიკოსები, რომელნიც სპბოლოდ ვერ განთავეთ ზეშდნენ მორგანისტების მსოფლმხედველობისაგან (დოცენტი პაპალაშვილი, დოცენტი მელაძე, დოცენტი ფხაკაძე და სხვ.).

თუ ზოგიერთ დისციპლინაში თავიდან იყო აცილებული ის ნაკლი, რაც მრავალ პროგრამას ახასიათებს (მეცნარეთა მორფოლოგია. ნაწილობრივ მცენარეთა ფიზიოლოგია) და შედარებით გამართული პროგრესული ბიოლოგიური თვალსაზრისითა არიან დაწერილნი, სადაც მიჩურინისა და ლისენკოს მოძღვრებაა გატარებული, სამაგიეროდ ზოგ პროგრამაში (სელექცია და გენეტიკა, ზოგადი ბიოლოგია) სპარობენ მორგანისტულ-მენდელისტური შეხედულებანი, ხოლო ზოგში კი (პროგრამები ზოოლოგიაში) მოწონავე ბიოლოგიური მეცნიერების შეხედულებანი სრულიად უგულვებელყოფილია ისეთ საკითხში, როგორიცაა შემენილ თვისებათა მემკვიდერობით გადაცემის საკითხი.

გენეტიკისა და სელექციის პროგრამებში ნშირად ი. ვ. მიჩურინი, აკადემიკოსი ლისენკო და ჩვენი ბიოლოგიური მეცნიერების სხვა წარმომადგენელნი ნახსენები არიან, მითითებულია ზოგიერთი მათი ნაშრომი, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, „თვალის ასახვევად". ამ პროგრამებით ძირითადად ვეისმანისტური მოძღვრება ისწავლებოდა.

ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უახლოეს ხანში დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა მორგანისტული, ვეისმანისტური სახელმძღვანელოები ამოღებულ იქნას ხმარებიდან, განვმარტონ ახალგაზრდობას ამ სახელმძღვანელოთა რეაქციული არსი, ლექტორებმა თავის პირველ ლექციებივე ვრცელად და ღრმად უნდა განეცხადონ სტუდენტებას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ფეკუტოს სესიის ძნიშნეულობა.

ღუმდე ქართველად არ არის გამოცემული მიჩურინის, ლისენკოს და სხვათა ნაწერები. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებ გამოცემლობანი მოკალენი არიან თავიანთ სამუშაო გეგმაში შეიტანონ მიჩურინის, ლისენკოს, ტიმირიაზევის, ვილიამსის და მიჩინავეთ მეცნიერების სხვა დიდი წარმომადგენლების ნაშრომთა გამოცემა ქართულ ენაზე. საჭიროა აგრეთვე უახლოეს ხანში გადათავლილებულ იქნას სამეცნიერო თემატიკა და გაიწმინდოს იგი რეაქციულ, იდეალისტური თეზისებისაგან. შესაბამლად უნდა იქნას სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა და მათს მუშაობაშიც იქნას მეტანილი შესაფერი კორექტივი.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში წლების განმავლობაში არ ხდებოდა ბიოლოგებისა და გენეტიკოსებს ბომბზადება. ადგილი ჰქონდა ნელ-ნელ დაბრკოლებებსნ ან ადგილს არ უყოფდნენ კათედრას ანდა, თუ ადგილი იყო გამოყოფილი, კათედრა და მისი ხელმძღვანელობა უკვე საასპირანტო ახალგაზრდას „ვერ პოულობდნენ". ამის გამო დღეს მწვავე ნაკლებობას განიცდით ბიოლოგთა კადრებს ბრნე. საჭიროა რათა ძირშიეე აღმოვფხვრათ ასეთი პრაქტიკა და ასპირანტურაში მიღებულ ნიჭიერ ახალგაზრდობას შეეუქმნათ ყოველგვარი პირობები.

ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 9 სასოფლო-სამეურნეო და 6 ბიოლოგიური დწესებულებებია. ჩამოყალიბების პირველ ხანებში სოფლის მეურნეობის დაწესებულებებში იყო 172 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 51 სამეცნიერო ხარისხის მქონე. დღეისათვის კი 269 თანამშრომელია, მათ შორის 125 სამეცნიერო ხარისხის მქონე. სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რაოდენობა ამქამად 46,5 პროცენტს შეადგენს. მათ შორის 15 დოქტორია.

დიდი მუშაობა ჩატარდა იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა გამაყოფილების სამეცნიერო დაწესებულებანი კადრების შემადგენლობის თხეედით აკადემიის სხვა დაწესებულებათა დონეზე მდგარიყვნენ, რადგან კადრების მაღალი კვალიფიკაცია საწინდარია მეცნიერული მუშაობის მაღალხარისხოვნად წარმართვისა. თვის, 6 წლის განმავლობაში კვალიფიკაცია კადრები 2,5-ჯერ გაიზარდნენ; მიუხედავად ასეთი ზრდისა ზოგიერთ დარგში კვლავ განვიდით კადრების საგრძნობ ნაკლებობას. ეს განსაკუთრებით ითქმის მეხლეობაზე. თუ მეხლეობა დღეს საქართველოში საერთოდ ჩამორჩენილია, ამაში ბრალი ამ დარგის სპეციალისტებსაც მიუძღვით და პირველ რიგში მეხლეობის საცდელი სადგურის დირექტორსა და მეხლეობის კათედრის გამგეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პროფესორ ნ. ხომარიანელს. კადრების დიდ ნაკლებობას განვიდით აგრეთვე სელექციაში, მეძროვნეობაში, აგროქიმიაში, სუტყნოპიყულ კულტურებში და სხვ. საჭიროა დაუყოვნებლივ ვიგეკეთოთ აქედან დასკვნები. კვალიფიკაციის ასაამაღლებლად ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების დიდი ჯგუფი ხანგრძლივად უნდა მივავლინოთ საბჭოთა კავშირის დიდ სამეცნიერო ცენტრებში. კურსდამთავრებულთაგან აუცილებელია შეკარჩიოთ ნიჭიერნი და დაეტოვოთ კათედრებთან. სამეცნიერო დაწესებულებებში მოსამზადებლად.

ველური მეცნარეულობის შესწავლაზე აკადემიის 5 სამეცნიერო დაწესებულება მუშაობს: ბოტანიკის ინსტიტუტი, სტეფ ინსტიტუტი, თბილისის ბოტანიკური ბაღი, სოხუმის ბოტანიკური ბაღი და ბათუმის ბოტანიკური ბაღი. ამ დაწესებულებებში თვალსაჩინო მეშობა ჩაატარეს საქართველოს ეეერი ფლორის, მისი განვითარების დინამიკის შესასწავლად. მიუხედავად ამისა მუშობა ჯერ კიდევ თავის სიმაღლეზე არ დგას. ეს დაწესებულებანი ჩვენს სახალხო მეურნეობისაგან დაშორებულნი არიან. ჩვენი ბოტანიკოსები, განსაკუთრებით სისტემატიკოსები, ფრიად გატაცებულნი არიან „ახალ-ახალი ჯიშების აღწერით. ამ უკანასკნელ ხანებში თუ ყოველდღე არა, 3 დღეში ერთი ახალი მეცნარის აღწერას ასწრებენ. ეს იქნებ ცუდი არ იყოს, მაგრამ ამით ჩვენი სოფლის მეურნეობა ბევრს არას იგებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოტანიკის ინსტიტუტს კარგი სტაციონარები აქვს როგორც მთაში (ბაკურიანი), ისე ბარად (მირაქში), დღეკამდლამდე ვერ განხორციელდა მეჩიდო კავშირი მეელოსნებთან, ჯერ კიდევ ფრიად ნელი ტემპით მიმდინარეობს საკვები ბალახების გადაცემა წარმოებაში. ამ დარგში მომუშავე პროფესორებმა დ. სოსნოვსკმ, ა. ბარანკმ, ალ. მაყაშვილმა, ლ. ელმულარიამ, მ. სახოკიამ, მ. ნახუტრიშვილმა და სხვებმა ამ ნაკლის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. და მუშაობა წარამართონ ისე, რომ იგი დაუქვემდებარონ ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებას.

ჩვენი მრავალწლეული კულტურების საკვლევი ინსტიტუტები შედგარებით ახალგაზრდანი არიან და თავისი არსებობის ბაზე მრავალი ცვლილებიდან ვანიცდიდეს. მიუხედავად ამისა, მათ შესრულ ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის კონკრეტული დამხმარების გაწევეა. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა საკარის საკვლევმა სადგურმა ფელეშტარის წინააღმდეგ ბრძოლაში ან კიდევ შეეენახებისა და მეფეთნეობის საბეჭნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა საძიერებლ საქმეში ნიადაგების მიხედვით, განსაკუთრებით კახეთის პირობებისათვის. მაგრამ გასაკვირველი ჯერ კიდევ ბევრია.

რა გვიშლის ხელს მუშაობაში? ის, რომ ზოგი მუშაკი დღეკამდლამდე საკუსებთ ეკერ განთავისუფლებული ვეისმანისტური მსოფლმხედველობისაგან. მეხლეობის საკვლევი სადგურის დირექტორი პროფესორი ხომარიანელი ბევრს არ სწერს, მაგრამ, რაც დაწერილი აქვს, მის ფორმალისტური გენეტიკის ფალი აზის. მის მიერ შედგენილ მეხლეობის სახელმძღვანელში ძალიან უგულებელყოფილია მიჩურინული იდეები. აეტორმა განცხადება გააკეთა, რომ იგი საფსებით ემეჯნება ანტიმიჩურინულ მიმართულებას და უარსყო სახელმძღვანელი. მაგრამ იგი ამაზე არ უნდა შეჩერდეს და თავისი შეშდგომი მუშაობით შეაფასოს ის ხარვეზი, რაც ამ 25 წლის მუშაობის დროს დაიჩნინა ჩვენიკეთის დარგს. პროფესორი ხომარიანელი ეალდებულია უმოკლეს დროში გამოამუშაროს ნაკლი, რომელიც მას და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე დაწესებულებას ახასიათებს.

ინსტიტუტების კვლევითი მუშაობის გეგმაში სათანადოდ გამოყენებულია არ იყო მიჩურინისა და ლისენკოს კვლევის მეთოდები ახალი ჯიშების შესაქმნელად და ჯიშმრავი ასორტიმენტის გასაემჯობესებლად. ამბ. ლოლაძეს მეეენახეობის საკვლევ ინსტიტუტში უფრო მეტი ყურადღება რომ ეიქცია მთელი მცენარის ცალკეაბოლისათვის, ბიეხდინა მასზე ხეგაელენა და მრავალი წლის მანძილზე დრო არ დაეკარგა ფოთლის განსხვავებათა ნიშნების ეარიაციულ ტაკტიკაზე, ბევრს მოიგებდა ისიც და ჩვენი სოფლის მეეენახეობაც.

ინსტიტუტები სათანადოდ არ მუშაობდნენ მცდელი მეეენახე მიჩურინელების გამოსავლენებლად და დასახმარებლად, არ ახდენენ მიჩურინისა და ლისენკოს მეცნიერული მუშაობის პოპულარიზაციას.

საქართველოში მცენარეთა დაცვა ცუდად არ დგას და ამაში დიდი წილი უდევს ჩვენს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტსაც. მან მრავალი ავადმყოფობა და მავნებელი გამოაცალა, მრავალი ეფექტური ლონისძიება დასახა ავადმყოფობათა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა—ერთი დიდი ნაკლი მაინც ახასიათებს ამ ინსტიტუტს: მის მუშობაში ჯერ კიდევ უცხოა მიჩურინული მეთოდოლოგია. მცენარის დაცვის ინსტიტუტში (დირექტორი პროფესორი ლ. ყანჩაველი) ძლერი კოლეტივია. საჭიროა ამ ინსტიტუტმა გარდამქმნის თავისი მუშაობა და გარდა სტატისტიკური მეთოდისა, რომელიც აგრეთვე საჭიროა, თავის მუშაობაში დაწერგოს მეშმარიტი აგრობიოლოგიური მეთოდოლოგია.

ჩვენი მემინდვრეობის საკვლევი დაწესებულებების სათავეში ახალგაზრდა კადრები დგანან, შეგეზეკონ მიმდევარნი მიჩურინისა და ვილიამსისა (მ. დალაქიშვილი, ანაკაფარიძე, ცხოსმანიანი, ესიტაშვილი და სხვ.). ამ დარგში განვიდოდი განსაკუთრებულ ნაკლებობას ეკარების მხრივ. მიუხედავად ამისა, ჩვენმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მაინც სასარგებლო მუშაობა ჩაატარეს.

მიჩურინული მოძღვრება მცენარეთა ბუნების გეგმაზომიერი გარდაქმნის შესახებ ორგანულად დაკავშირებულია ვეალიანსის სწავლებასთან ნიადაგწარმოქმნის პროცესის, ნიადაგზე ადამიანის აქტიური მოქმედების შესახებ. დოკუჩაევ-კოსტიჩევ - ვილიამსის მოძღვრება წარმოადგენს მოწინავე აგრონომიულ მეცნიერებას, რომელიც ალარაფის სოციალისტურ მიწათმოქმედებას ყველაზე ქმედითი იარაღით მოსავიოანობის განუწყვეტელი ზრდისათვის.

აკადემიკოსმა ვილიამსმა ჩამოაყალიბა მიწათმოქმედების ნათესლაბილური სისტემა, რომელიც უზრუველყოფს ნიადაგიდა ნაყოფიერების ზრდას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას. ცხადია, რომ ჩვენი მუშაობა მიწათმოქმედებში უნდა ემყარებოდეს ვილიამსის მოძღვრებას, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენა ვეკვნა. ნიადაგების შესწავლა ძველ ვეოგრაფიულ და გეომორფოლოგიური პრინციპით ხდება და ვილიამსის წესები დანერგილი არ არის. ნიადაგმეცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მ. საბაშვილმა თავის მუშაობაში ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მიწათმოქმედების ნათესლაბილური სისტემა საქართველოში სხვა დარგებთან შედარებით უფრო ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ჩვენი მიწათმოქმედეა ჯერჯერობით ავადფელი არ არის კოსტიჩევ-ვილიამსის მიერ შემუშავებული ნათესლაბილური მიწათმოქმედების სისტემის სათეძველზე. ნათესლაბილური თესლბრუნვის გაგრცელება ჩვენში მხლოდ მიმდინარე ბუთწერეგრეზე დაიწყო და აქამდე შედარებით ნელი ინერგება ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე. მიწათმოქმედების მთელიანი სისტემის კომპლექსურ დამუშავებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საჭიროა ფართოდ დაენერგოთ მიწათმოქმედების ნათესლაბილური სისტემა.

დღეს ორი მიმართულების გამმაგრებელი ბრძოლა სწარმოებს ბიოლოგიაში.

პირველია პროგრესული, მიჩურინეული აგრობიოლოგიური მეცნიერება, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს ეემყარება. მას ეპარიანსრება — რეაქციული იდეალისტურ-ვეისმანისტური მსოფლმხედველობა. ორი სისტემა ებრძვის ერთერთს—სამეცნიერო პროგრესული სისტემა და რეაქციული, იმპერიალისტური სისტემა. პირველი სისტემის სათავეში დგას საბჭოთა კავშირი, რომლის იდეოლოგიის შემქმნელები არიან მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი. ეს იდეოლოგიაა დიალექტიკური მატერიალიზმი, ამ მსოფლმხედველობაზეა დამყარებული მიჩურინული მოძღვრება, ამ აეს ვასებს, მისკან იღებს მაცოცხლებელ ძალას.

ჩვენი სოფლის მეურნეობა მაშინ იქნება ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული, როცა მასში ღრმად იქნება დანერგული საბჭოთა აგრობიოლოგიური მეთოდოლოგია. ჩვენი ბიოლოგიური მეცნიერება, ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკი ამას შესძლებენ და უნდა შესძლონ უმოკლეს ხანში. ამას მოითხოვს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების, ჩვენი დიდი სამშობლოს ინტერესები. ამას მოითხოვს ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, რომელიც განუხრელად ზრუნავს მოწინავე ბიოლოგიური მეცნიერების — მიჩურინეული მეცნიერების განვითარებისათვის.

იგავიის ყოფილი კოლონიების საკითხის გარშემო

როგორც პრესაში უკვე ეიუწყებოდით, საბჭოთა მთავრობამ 4 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც წინადადება მისცა — მოწვეული ყოფილიყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხის გასახილველად იტალიასთან საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განსაზღვრ, ე. ი. ამა წლის 15 სექტემბრამდე.

7 სექტემბერს საბჭოთა მთავრობამ დიდი ბრიტანეთის მთავრობისაგან მიიღო პასუხი, რომლითაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა თანხმობას აცხადებდა მონაწილეობა მიეღო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირში და წინადადებას იძლეოდა, ოღონდ მოწვეული ყოფილიყო პარიზში, მაგრამ ამ თათბირის მოწვევის ვადა არ განუსაზღვრავს.

8 სექტემბერს საბჭოთა მთავრობამ აცნობა დიდი ბრიტანეთის მთავრობას, რომ იგი თანახმაა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი მოწვეულ იქნას პარიზში და წინადადება მისცა ეს თათბირი მოწვეულ იქნას 10 სექტემბერს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 8 სექტემბრის ნოტაში ეცხადებს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირი არავითარ სარეკვლობას არ მოიტანს, თუ საბჭოთა მთავრობა მის განსახილველად ახალ წინადადებებს არ შეიტანს, ასეთი განცხადება და ცდა—საბჭოთა მთავრობას წარუდგენოს რაღაც წინასწარი პირობები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსაწვევად, სრულიად თვითნებურია და მიუღებელია საბჭოთა მთავრობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, გამოსთქვამს რა მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირში ტრიესტის ყოფილი კოლონიების მიდგილ საკითხზე, აცხადებს, რომ ასეთ თათბირში მონაწილეობის მისაღებად რწმენებამოსილი იქნება სახელმწიფო მდივანს წარმომადგენელი, რაც ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის უარს მონაწილეობა მიიღოს საგარეო საქმეთა მინისტრების აღნიშნულ საბჭოში და შეუძლებელ ხდის მინისტრებისა საბჭოს მოწვევას ამ საკითხის განსახილველად. ამით ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე არალეკვენ ოტალიასთან საზავო ხელშეკრულების იმ დადგენილებას, რომლის თანახმადაც იტალიის ყოფილი კოლონიების მიდგის საკითხი განხილულ უნდა იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ამა წლის 15 სექტემბრამდე.

მოუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავრობის ასეთი პასუხი არ შეესაბამება იტალიასთან საზავო ხელშეკრულების მოთხოვნებს, საბჭოთა მთავრობა წინაადმდეგი არ იქნება ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ხსენებული თათბირისა, რაშდენადაც ამას დაეთანხმებიან ავრეთვე საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის თავრობები.

პარიზში ასეთი თათბირის მოწვევის 13 სექტემბის თარიღის შესახებ საწინააღმდეგო აზრი არ არსებობს.

ამ ნოტის ასლები ეგზავნებოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს".

ამავე დროს საფრანგეთის თავრობამ საბჭოთა მთავრობას აცნობა თავისი თანხმობა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევაზე პარიზს ან ვადებში, რომლებიც მისაღები იქნება ს

ტანკისტის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს თავისი სახელოვან შვილთა — ტანკისტთა და მექანიზებული ჯარების მეომართა დღეს. დღეს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ტანკმშენებელთა დამსახურებას, რომლებმაც საბჭოთა არმია პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვეს.

საბჭოთა არმიის ყველაზე ახალი გვარეობის ჯარებმა — ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა — სახელოვანი გზა განვლეს. მათ მაღლა ეჭირათ თავიანთი დროშები სამშობლოსათვის ბრძოლებში.

საბჭოთა ჯავშანსატანკო ჯარებმა მძლავრი ტექნიკა მიიღეს ჩვენი ქვეყნისაგან. სოციალისტური ინდუსტრიის შექმნის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარების, წარმოების ახალი დარგების წარმოშობის, ახალი ქარხნების მშენებლობის შედეგად ჯავშანსატანკო ჯარები აღჭურვილ იქნენ საბჭოთა კონსტრუქციის ჩინებული და ორიგინალური ტექნიკით. მარტო 4 წლის განმავლობაში—1934-დან 1938 წლამდე—ჩვენი არმიის სატანკო პარკი გასამკეცდა, კიდევ უფრო გადიდდა სატანკო ჯარების ცეცხლითი ზალპის სიმძლავრე.

პარტია და მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი მამობრივად ზრუნავდნენ ტანკისტების კადრების გამოზრდისათვის. სატანკო ნაწილებსა და სკოლებში სასწავლად მიდიოდნენ კომუნისტები და კომკავშირელები. 18 წლის წინათ ამხანაგ სტალინის ინიციატივით შეიქმნა ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემია, რომელიც ამჟამად თავისი შემქმნელის სახელს ატარებს. ამ აკადემიამ თავისი არსებობის წლებში მრავალი ათასი მცოდნე, გამოცდილი და ნიჭიერი ოფიცერი და გენერალი აღზარდა. მათ ბრძოლებით გაიარეს მოსკოვიდან ბერლინამდე, სტალინგრადიდან უნგრეთამდე და პრაღამდე, გაანადგურეს ჰიტლერელთა დივიზიები და იაპონელთა ნაქები კვანტუნის არმია.

სტალინური ხუთწლედების საფუძველზე სახალხო მეურნეობის ხელახალმა ტექნიკურმა შეიარაღებამ უდიდესი, თუ არა გადამწყვეტი როლი შეასრულა კვალიფიციური კადრებით ჯავშანსატანკო ჯარების დაკომპლექტებაში. წინათ არმიაში მიდიოდნენ ადამიანები, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ ტექნიკაზე, კიდევაც ემინოდათ მანქანებისა. სტალინური ხუთწლედების წლებში არმიის შევსება ხდებოდა ახალგაზრდა მუშებითა და კოლმეურნეებით, ტრაქტორისტებითა და კომბაინერებით, რომლებიც ჯარში გაწვევამდევე იცნობდნენ რთულ მანქანებს და სწრაფად ეუფლებოდნენ თავიანთ სამხედრო სპეციალობას.

საბჭოთა სატანკო ნაწილებმა ღირსეულად გაუძლეს დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელს. როგორც ცნობილია, ომის პირველ პერიოდში გერმანელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ ტანკების მხრივ. ჰიტლერულმა გერმანიამ თითქმის მთელი თავისი მექანიზებული და სატანკო ჯარები სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოიყვანა და შესძლო მიეღწია დროებითი ტერიტორიული წარმატებებისათვის. ჩვენი ტანკისტები სხვა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით გმირულად იბრძოდნენ, ხშირად უთანასწორო პირობებში, ჰიტლერელთა სატანკო დივიზიების წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა 1941 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში ანალიზი გაუკეთა ჩვენი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზებს და სთქვა: „... ტანკები ჩვენ მაინც რამდენჯერმე ნაკლები გვაქვს, ვიდრე გერმანელებს". ამხანაგმა სტალინმა მაშინვე განსაზღვრა ამოცანა: „გავაქარწყლოთ გერმანელთა უპირატესობა ტანკების მხრივ და ამით შირფესვიანად გავაუმჯობესოთ ჩვენი არმიის მდგომარეობა".

ხანგრძლივი და შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა ფრონტებზე ტანკების მხრივ უპირატესობისათვის ბრძოლას. ჩვენი აქტიური ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა სპობდა მტრის მრავალ მანქანას, ძირს უთხრიდა გერმანიის სატანკო არმიების შეტევითს ძლიერებას. ამავე დროს ჩვენი მრეწველობა განუწყვეტლივ ზრდიდა ტანკების გამოშვებას, ამასთან აუმჯობესებდა და ეუფლებოდა ახალი ტიპის საბრძოლო მანქანებს. საბჭოთა ტანკმშენებლებმა გაიმარჯვეს ორთაბრძოლაში გერმანიის სატანკო მრეწველობასთან, რომლისთვისაც მუშაობდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის ქარხნები, სწორედ ორთაბრძოლაში, რადგან ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება ამ მხრივ სრულიად უმნიშვნელო იყო. ზედმეტი არ იქნება, თუ დავძენთ, რომ ჩვენი ტანკები და სატანკო შეიარაღება თავისი ხარისხით სჯობდა არა მარტო გერმანულს, არამედ ამერიკულ და ინგლისურ ნიმუშებსაც.

ომის დაწყების შემდეგ მალევე, 1941 წლის 16 აგვისტოს, საბჭოთა მთავრობამ მიიღო ამხანაგ სტალინის დავალებით შემუშავებული „სამხედრო-სამეურნეო გეგმა" 1941 წლის IV კვარტალისა და 1942 წლისათვის. კერძოდ, ეს გეგმა ითვალისწინებდა სატანკო ჯავშნის წარმოებისა და მძიმე და საშუალო ტანკების გამოშვების ახალი ბაზების შექმნას. პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მუშათა კლასის უდიდესი მეცადინეობით, დიდი სტალინის ორგანიზატორული გენიის მეოხებით სამხედრო მრეწველობამ 1942 წლის პირველ ნახევარშივე არა მარტო აღადგინა დაკარგული სიმძლავრეები, არამედ მნიშვნელოვნადაც გადააჭარბა მათ.

საბჭოთა არმიის ხელახალი შეიარაღების სტალინური პროგრამის საფუძველზე სატანკო ქარხნები დიდი რაოდენობით უშვებდნენ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ „ტ-34" მარკის ტანკებს და თანამედროვე პირველხარისხოვანი „ის" მარკის მძიმე ტანკებს. სრულყოფდნენ რა სატანკო ტექნიკასა და შეიარაღებას, გამოჩენილმა საბჭოთა კონსტრუქტორებმა ამხანაგებმა კოტინმა, მოროზოვმა, ერმოლაევმა, ტრაშუტინმა და სხვებმა შესძლეს მეტად ჰარმონიულად შეეხამებინათ ტანკის ძირითადი თვისებები — მძლავრი ჯავშანი, შეიარაღება და საუცხოო მანევრულობა. ამიტომ ჩვენი ტანკები არა მარტო საუკეთესონი აღმოჩნდნენ მსოფლიოში, არამედ ტანკების კონსტრუირების საბჭოთა პრინციპიც წამყვანი გახდა.

ომის მსვლელობაში მიღწეულ იქნა საბჭოთა სამხედრო ტექნიკის არა მარტო ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი უპირატესობაც ჰიტლერული გერმანიის ტექნიკის წინაშე. ტანკების წარმოება სსრ კავშირში 1942 წლის დეკემბერში, 1941 წლის დეკემბერთან შედარებით, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში, თითქმის გაორკეცდა. ამავე ხნის განმავლობაში 4,6-ჯერ გაიზარდა სატანკო დიზელ-მოტორების წარმოება. წარმოების ზრდა განუწყვეტლივ გრძელდებოდა. ომის უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ყოველწლიურად საშუალოდ 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალს და ჯავშანმანქანას ვუშვებდით. დიდი სამამულო ომის დასასრულისათვის საბჭოთა არმიას თხუთმეტჯერ მეტი ტანკი ჰქონდა, ვიდრე მშვიდობიან დროს!

ჩვენმა ტანკისტებმა, რომლებიც სამართლიანი საქმისათვის იბრძოდნენ, ბრძოლის ცეცხლში გამოიჩინეს უთავალითო მამაცობა, საბჭოთა პატრიოტების, სოციალისტური საზოგადოების თავისუფალი და სულით ძლიერი ადამიანების მაღალი მორალური თვისებები.

სატანკო ნაწილებმა და შენაერთებმა ქვეითს ჯართან, არტილერიასა და სხვა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით დიდი როლი შეასრულეს მოსკოვთან გერმანელთა განადგურებაში.

შემდეგში ჯავშანსატანკო და მექანიზებულ ჯარებს უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. პირველი ბრძოლა, რომელშიც ტანკების დიდი მასები მონაწილეობდნენ, იყო სტალინგრადის ბრძოლა, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ომის მსვლელობაში.

ამხანაგმა სტალინმა, მოწინავე სამხედრო მეცნიერების შემოქმედმა, სამხედრო მეცნიერებისა, რომლის ერთ-ერთ საფუძველს ყველა გვარეობის ჯარების ზუსტი თანამოქმედება წარმოადგენს, შეიმუშავა ყველა სახის საბრძოლო მოქმედებაში სატანკო და მექანიზებული ჯარების ოპერატიული და ტაქტიკური გამოყენების ყველაზე სრულყოფილი ფორმები.

ამხანაგმა სტალინმა ასწავლა ჩვენს მეთაურებს სხვადასხვა სახის ბრძოლაში სატანკო და მექანიზებული ჯარების დიდი შენაერთების სწორი გამოყენება, მათი მართვა ყველაზე ძნელ და რთულ პირობებში.

დიდი სტალინი, რომელმაც შექმნა ყველაზე მოწინავე სამხედრო მეცნიერება, წარმართავდა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სრულყოფას, თრგუნავდა რუტინასა და უძრაობას სამხედრო აზროვნებაში და გადაჭრით ამსხვრევდა შაბლონს ტაქტიკასა და ოპერატიულ ხელოვნებაში, მტკიცედ ნერგავდა თანამედროვე ომის მოთხოვნათა შესაბამის მეთოდებს.

სტალინურმა სამხედრო მეცნიერებამ ახლად შეიმუშავა და გამოიყენა შეტევის ისეთი შესანიშნავი სახე, როგორიცაა კონტრშეტევა. ჩვენი ჯარები აქტიურ თავდაცვაში ქანცავდნენ და სისხლისაგან სცლიდნენ შემომტევ მტერს, აქარწყლებდნენ მის დროებითს უპირატესობას, შემდეგ კი გამანადგურებელ კონტრდარტყმებს აყენებდნენ, რაც საერთო გადამწყვეტ კონტრშეტევად გადაიზარდა.

ისეთი სრული ჰარმონია ბრძოლის მძლავრ საშუალებებსა, მათი გამოყენების გადამწყვეტ ფორმებსა და ჯარების შეტევითს სულისკვეთებას შორის, როგორიც მიღწეულ იქნა საბჭოთა არმიაში, არც ერთ არმიაში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

კურსკის შვერილზე ბრძოლაში გერმანელებმა სცადეს რევანში აეღოთ სტალინგრადისათვის, მაგრამ ისინი ჯერ სისხლისგან დასცალეს თავდაცვითს ბრძოლებში, შემდეგ კი გაანადგურეს გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასულმა საბჭოთა ჯარებმა. კურსკთან ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა გაიარეს კიდევ ერთი სასტიკი შემოწმება — აქ ერთმანეთს შეეჯახნენ ჯარების უდიდესი მასები: ორივე მხრიდან ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა 10 ათასამდე ტანკი.

საბჭოთა არმიის დარტყმები ანგრევდნენ მტრის ღრმად და ძლიერ გამაგრებულ თავდაცვითს ზოლებს. საბჭოთა ტანკისტები სწრაფი წინსვლით, მოქნილი, ოსტატური და მამაცური მანევრით ფუშავდნენ მტრის ვარაუდს — გაექიანურებინა ომი, უსპობდნენ მას ფრონტის სტაბილიზების საშუალებას.

ომის დამამთავრებელი ეტაპის ბრძოლებს ახასიათებდა ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთების გამოყენების უფრო სრულყოფილი ფორმები, საბჭოთა არმიის შეტევის კიდევ უფრო სწრაფი ტემპები. 1945 წლის იანვარში ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე — მთელ ამ უდიდეს სივრცეზე — მიყენებული დარტყმის მასშტაბი და ძალა ისეთი იყო, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება ომების ისტორიაში. მთელ ამ მრავალკილომეტრიან ფრონტზე მტრის თავდაცვაში შექმნილ გარღვევებში იჭრებოდნენ ძლევამოსილი ძოძრავი ჯარები. მათ შეჰკრეს გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების გარემოცვის რკალი და უმაგალითო სისწრაფით მიაღწიეს ოდერს. ბერლინის ოპერაციასა და ბერლინის გმირულ იერიშში ჯავშანსატანკო და მექანიზებულ ჯარებს სამართლიანად ეკუთვნით თვალსაჩინო ადგილი. ბერლინისათვის საბოლოო ბრძოლაში 6.500-ზე მეტმა თანამედროვე გამრღვევმა საბჭოთა ტანკმა მიიღო მონაწილეობა.

დიდი სამამულო ომის წლების მანძილზე 1.120 ტანკისტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 250.000 დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით. მაღალი შეფასება მიეცა ტანკმშენებელთა დამსახურებასაც.

* * *

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარებით, მათი ძლიერება, მათი თვალსაჩინო გამარჯვებანი სამართლიანად მიაჩნია თავისი ძალისა და მამაცობის მკაფიო განსახიერებად.

საბჭოთა სამშობლოს საარსებო ინტერესები მოითხოვენ ჩვენი სამხედრო ხელოვნების დონის განუწყვეტელ ამაღლებას ომის გამოცდილების საფუძველზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე. „უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო საქმე განუწყვეტლივ და სწრაფად ვითარდება. წითელი არმია მოვალეა არა მარტო კვალდაკვალ მიჰყვებოდეს სამხედრო საქმის განვითარებას, არამედ წინაც მიჰყავდეს იგი" (სტალინი).

ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები სახმელეთო ჯარების ისეთი გვარეობაა, რომელიც შეიცავს თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ყველაზე მეტ მასას. ეს მოითხოვს ტექნიკურად კარგი მცოდნე კადრების მომზადებას, რომელთა სწავლებაც მარტო არმიის რიგებში კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმედ გახდეს.

საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების, და პირველ რიგში, არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების აქტიური მუშაობა ტექნიკურად მცოდნე კადრების მოსამზადებლად, უწევს და შეუძლია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს.

დემობილიზებული ტანკისტები არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სული და გული, თანამედროვე ტექნიკის ათვისების ორგანიზატორები უნდა გახდნენ. გუშინდელი ტანკისტები, რომლებმაც გაიარეს ომის სკოლა, დღეს ფაბრიკა-ქარხნების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის სტახანოველები გახდნენ. მათ დაიმსახურეს მთავრობის მაღალი ჯილდოები საბრძოლო გმირობისა და გმირული შრომისათვის. იყვნენ წინ ბრძოლასა და შრომაში—აი საბჭოთა ტანკისტების დევიზი. ჩვენ ვამაყობთ ისეთი შესანიშნავი ადამიანებით, როგორიც არის მექანიკოსი წამყვანი ზემდეგი პეტრე ტრაინინი. დნეპრის გადალახვისა და დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ დაკავებისათვის პეტრე ტრაინინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. დემობილიზაციის შემდეგ იგი დაბრუნდა უზბეკეთის სსრ სამარყანდის ოლქის „გალიაარალის" საბჭოთა მეურნეობაში და მუშაობა დაიწყო უფროს მექანიკოსად. წელს გაზაფხულზე პეტრე ტრაინინს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

ჩვენმა ტანკისტებმა განუწყვეტლივ უნდა სრულჰყონ თავიანთი ცოდნა, არ ჩამორჩნენ ცხოვრებასა და თანამედროვე ტექნიკას და ამავე დროს თავიანთი საბრძოლო გამოცდილება გადასცენ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას.

მშვიდობიან პირობებში ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები, ისევე როგორც მთელი შეიარაღებული ძალები, მოწოდებული არიან უზრუნველჰყონ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები. ამისათვის ისინი მუდამ უნდა იყვნენ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში.

ცხოვრება წინ მიდის, სწრაფად და განუწყვეტლივ ვითარდება სამხედრო საქმე. თავიანთი ტრადიციების ერთგული საბჭოთა ტანკისტები, რომლებიც დიდად აფასებენ თავიანთ ღირსებასა და საბრძოლო სახელს, არ სჯერდებიან მიღწეულ შედეგებს, არამედ კეთილსინდისიერად, ძალღონის დაზოგავად სწავლობენ სამხედრო საქმეს. მთავარი ამოცანებია საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლება, სამხედრო დისციპლინისა და ორგანიზებულობის ყოველმხრივ განმტკიცება, საბჭოთა სამხედრო სიამაყის კანონიერი გრძნობის განვითარება.

სანამ კაპიტალიზმი არსებობს, რჩება ჩვენს სამშობლოზე თავდასხმის საფრთხე. ეს საფრთხე რომ თავიდან ავიცილოთ, ყოველგვარი შემთხვევითობისათვის რომ მზად ვიყოთ, უნდა გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური სიმძლავრე, განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები. ტანკისტებმა იციან თავიანთი მოვალეობა და მუდამ მზად არიან ღირსეულად და პირნათლად შეასრულონ იგი.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები ერთგულად ემსახურებიან სამშობლოსა და ხალხს, ფხიზლად და მტკიცედ დგანან საბჭოთა სახელმწიფოს სადარაჯოზე.

მ. დ. სოლომატინი
სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. ტანკები ლაშქრობაში.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ქართველი ტანკისტები

ვლადიმერ ნიკოლაძე სერჟანტი იყო დიდი სამამულო ომის დაწყებისას. პირველი ბრძოლა მას რუმინეთ-უნგრეთის საზღვართან გადახდა, როცა იგი ტანკს მეთაურობდა. აქ ერთ-ერთ ბრძოლაში მან მუსრი გაავლო გერმანელ სადესანტო მევტომატეთა ჯგუფს.

მძიმე ბრძოლა გადაიტანა ვლადიმერ ნიკოლაძემ ქ. ნოვოგრად-ვოლინსკთან. გერმანელთა ტანკები ეშელონებად მოიწევდნენ ჩვენი პოზიციებისაკენ. მათ ტყეში ჩაუსაფრდა საბრძოლო დაზვერვაზე გასული სამი ტანკი. ერთ-ერთ მათგანში ისხდნენ ტანკის მეთაური ნიკოლაძე და მძღოლი სერჟანტი მარჯანიშვილი. ტყეში ჩასაფრებულმა საბჭოთა ტანკისტებმა უეცრად დაუშინეს გზატკეცილზე გამწკრივებულ გერმანელთა მანქანებს. მარტო ნიკოლაძემ ამ უთანასწორო ბრძოლაში მტრის 9 ტანკი გაანადგურა, მაგრამ მალე მისი ტანკი საშინლად შეინჯღრა ყუმბარების დარტყმისაგან და ცეცხლი მოედო. ხასიკვდილოდ დაჭრილი მარჯანიშვილი ნიკოლაძემ ტანკიდან გამოიყვანა და ტყეს შეეფარა. მათთან მოგროვდნენ სხვა გადარჩენილი ტანკისტებიც. აქ ამხანაგების მკლავებზე გადაწვენილმა მარჯანიშვილმა დალია სული. მარჯანიშვილის საფლავი სერჟანტმა ნიკოლაძემ შებინდებისას დასტოვა. იგი ფრთხილად მიიწევდა სატანკო დივიზიის შტაბისაკენ, რათა მიეტანა ცნობა მტრის მოახლოების შესახებ. დიდი სიძნელეების გადალახვით დილის 4 საათზე მან მიაღწია დივიზიის შტაბს, როდესაც სატანკო შენაერთი უკვე გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მტრის ჭარბ სატანკო ძალებთან.

დივიზიის მეთაურმა გულში ჩაიკრა ბრძოლაგადახდილი მამაცი ტანკისტი და უთხრა, თქვენი ბრძოლის ხმა შორიდანვე მოგვესმა, მტერს მომზადებული შევხვდითო.

1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის აპრილამდე ნიკოლაძე სტალინგრადში იმყოფებოდა, აქ მიიღო ოფიცრის წოდება და მალე ვოლხოვის ფრონტზე გაიგზავნა. სოფელ სინიავინოსთან ბრძოლებში ახალგაზრდა ქართველმა ტანკისტმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი მტერთან ბრძოლაში. 1943 წლის აგვისტოში იგი იბრძოდა კურსკის შვერილზე როგორც სატანკო ასეულის მეთაური.

დიდი საბრძოლო ოსტატობა და სიმამაცე გამოიჩინა ამხ. ნიკოლაძემ კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. აქ მან ხელთ იგდო გერმანელთა 6 მძიმე ტანკი „ვეფხვი", უამრავი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი და ტყვედ ჩაიგდო ორი გერმანელი პოლკოვნიკი. ამ ბრძოლებში ვლადიმერ ნიკოლაძე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სამი თვის მკურნალობის შემდეგ ისევ მწყობრში ჩადგა. შემდეგ სხვა მეთაურებთან ერთად ნიკოლაძე მოსკოვის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების აკადემიაში სასწავლებლად გაიგზავნა.

ამხ. ნიკოლაძის საბრძოლო ანგარიში ასეთია: მონაწილეობა მიიღო 44 სატანკო იერიშში, ამ ბრძოლების დროს მოსპო მტრის 18 ტანკი, მრავალი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი და 1.300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სამშობლოს წინაშე ასეთი დამსახურებისათვის იგი მთავრობის მიერ დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორი ორდენით.

1947 წლის ზაფხულში ვლადიმერ ნიკოლაძემ სამხედრო აკადემია წარმატებით დაამთავრა. დღეს იგი სატანკო ბატალიონის მეთაურის მოადგილეა და თავის მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას ახალგაზრდა ტანკისტებს უზიარებს.

მრავალი ასეთი მამაცი ტანკისტი გამოზარდა ქართველმა ხალხმა. საკმაოდ ცნობილია ტანკის მეთაურ შოთა აბესაძის გმირობა. 1941 წელს დასავლეთის ფრონტზე დაზვერვაში ყოფნისას მან ზედიზედ დასწვა ფაშისტთა ხუთი ტანკი.

სანდომირის პლაცდარმზე წარმოებული ბრძოლების დროს კომკავშირელმა ტანკისტმა თენგიზ ჯაფარიძემ მარტო ერთ ბრძოლაში გერმანელთა ხუთი ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან.

იშვიათი სიმამაცისა და გმირობის მაგალითებით აღსავსეა ოფიცრების გრძელიშვილის, ბრეგვაძის, ბაჩაკაშვილის და სხვათა საბრძოლო ცხოვრება. სანიმუშო საბრძოლო მოქმედებისათვის მათი სახელები არაერთხელ იყო მოხსენებული უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებში.

ერთ-ერთი ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისათვის ცნობილი ქართველი ტანკისტი ლ. ბრეგვაძე დაჯილდოებულ იქნა სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით. ფრონტის სარდალმა მას ორდენთან ერთად გადასცა მ. ი. კალინინის წერილი, სადაც იგი მამაც ქართველ ტანკისტს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა. „თქვენ პირველი ქართველი ხართ, — სწერდა მიხეილ ივანეს-ძე, — რომელმაც სუვოროვის ორდენი დაიმსახურეთ".

საბჭოთა ტანკისტებმა, მათ შორის ქართველმა ტანკისტებმაც, ღირსეულად გაამართლეს ჩვენი სამშობლოს, დიდი სტალინის იმედი. საბჭოთა ქვეყნის დაუძინებელი მტრების განადგურების საქმეში საბჭოთა ტანკისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს და მთელი ხალხის სიყვარული დაიმსახურეს. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა ტანკისტებთან ერთად სიხარულითა და ზეიმით აღნიშნავენ ტანკისტის დღეს.

კაპიტანი ქ. მესხი

ერთი მრავალთაგანი

თოვლის კორიანტელში გახვეულიყო არემარე. ჩრდილოეთის ცივი ქარი მოუსვენრად ღმუოდა. მშობლიური სტალინგრადის შორეულ მისადგომებზე ქვეითი ჯარისა და ტანკების ბრძოლა უფრო დაძაბული ხდებოდა. გერმანელთა ტანკები გაშმაგებულ კონტრიერიშზე გადმოდიოდნენ და ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ქალაქის დასავლეთით.

გარუჯულ ხეს იქით, სადაც სახლის ნანგრევებიღა დარჩენილიყო, მოწინააღმდეგის შენიღბულმა ქვემეხმა პირდაპირი გასროლით ნიკოლოზ ჩადუნელის ტანკის კოშკური გაგლიჯა.

დაჭრილ ტანკისტს სუნთქვა შეეკრა. ტანკს მუხლუხებთან ცეცხლი ეკიდა. სიცოცხლის დაუზოგავად, ტყვიის წვიმაში მამაცი ტანკისტი გადმოხტა ტანკიდან, ცეცხლი საკუთარი მაზარით ჩააქრო, კვლავ ჩაება ბრძოლაში და მოსრისა ჩანგრეული კედლის უკან ამოფარებული მტრის ქვემეხი, ხოლო შემდეგ ფაშისტთა ტანკი გაანადგურა.

მრავალი ასეთი ბრძოლა გადაიხადა ნიკოლოზ ჩადუნელმა. მამაცმა ქართველმა ტანკისტმა ბრძოლით გაიარა ათასობით კილომეტრი. მან მონაწილეობა მიიღო ბერლინისათვის ბრძოლებში. ცხრა მაისს ისიც სიხარულით შეჰყურებდა ბერლინის თავზე აღმართულ გამარჯვების წითელ დროშას.

* * *

ომგადახდილმა ჩადუნელმა ტანკისტის ფორმით გაიყვანა თბილისის საორთქლმავლო დეპოდან ორთქლმავალი. იგი პატრიოტული შრომის მაგალითს იძლევა, ყოველდღიურ დავალებებს სამასი-ოთხასი პროცენტით ასრულებს.

სამართლიანად ამბობენ მასზე: ბრძოლაში გვარდიელია და შრომაში სტახანოველიო!

სად არ შეხვდებით ომგადახდილ ასეთ საამაყო ადამიანებს, — ქარხნებში, ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ახალ მშენებლობებზე.

ისინი როგორც ბრძოლებში, ისე შრომაშიც სამაგალითონი არიან.

აქ. ბოცირიძე

საოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე

თბილისელ დეპოელთა ახალი წარმატებები

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდების პასუხად ნაკისრ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად თბილისის საორთქლმავლო დეპოს აწევითი რემონტისა და გარეცხვითი რემონტის საამქროთა კოლექტივები 1 სექტემბრიდან საოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე დადგნენ.

ვახტზე დგომის დღეებში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია გარეცხვითი რემონტის საამქრომ (უფროსი ოსტატი შ. ხიზანიშვილი), რომელმაც სექტემბრის პირველი დეკადის დავალება 120 პროცენტით შეასრულა. საამქროს ასეთი წარმატება მიღწეული იქნა პროფესიათა მიხედვით ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლით. შეჯიბრებაში ჩაბმულია საამქროს ყველა მუშა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ საწარმოო ვალდებულებებს.

წარმატება მოიპოვა აგრეთვე ორთქლმავალთა აწევითი რემონტის საამქრომ (უფროსი დ. კვარაცხელია), რომელმაც გადიდებული დეკადური დავალება 100 პროცენტით გაანაღდა.

4 დღეში დამონტაჟებულია 130 ტონა კონსტრუქცია

რუსთავი, (საქ. კორ.). 1 სექტემბრიდან სტახანოვურ ვახტზე დადგნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს მემონტაჟეები და იკისრეს სექტემბერში 250 ტონა კონსტრუქციის ნაცვლად, 500 ტონა დაამონტაჟონ.

სტახანოვურ ვახტს ხელმძღვანელობს სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ნ. აბდალაძე. შრომის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვის შედეგად, რაც იმით გამოიხატა, რომ ლითონკონსტრუქციათა ფერმების კვანძებს ამართვამდე აწყობენ, ჰკრავენ და შემდეგ მექანიზმების საშუალებით ახდენენ მათ გამართვას, მემონტაჟეებმა ვახტზე დგომის პირველ 4 დღეში შესძლეს 130 ტონა კონსტრუქციის დამონტაჟება.

მემონტაჟეები ახლა გადავიდნენ მალთაშორის სლიაბების და ბლუმსების აწყობაზე. ვახტზე დგომის პერიოდში ინჟინერ ნ. აბდალაძის ჯგუფის მემონტაჟეები ნორმებს 200-210 პროცენტით ასრულებენ.

ქუთაისის მრეწველობის რვა თვის მუშაობის შედეგები

ქუთაისი, (საქ. კორ.). ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქალაქ ქუთაისის მრეწველობამ 107,9 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა.

საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 107 პროცენტით, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა — 105,5 პროცენტით, ადგილობრივმა მრეწველობამ — 110,5 პროცენტით, სარეწაო არტელებმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებმა 111,9 პროცენტით.

საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სამთო მანქანათმშენებლობისა და ლიტოპონის ქარხნები, რიონჰესის, საშკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის VII პლენუმი

10 სექტემბერს შესდგა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის VII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი: „თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის XXII პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით".

მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. მეგრელიშვილი.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქორქოლიანმა (კომკავშირის მოლოტოვის რაიკომის მდივანი), კობახიძემ (დიმიტროვის სახელობის ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), ნიკოლაიშვილმა (ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" კომკავშირული კომიტეტის მდივანი), მალანიამ (თბილისის რკინიგზის კვანძის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), ჩრდილელმა (კომკავშირის კიროვის რაიკომის მდივანი), კაციტაძემ (კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანი) და სხვებმა, სულ 10 კაცმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ე. ჩერქეზია და ა. ჯიშიაშვილი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები დ. რომელაშვილი და ნ. ქვანჩია.

საერთაშორისო მიმოხილვა

კინკლაობა მარშალიზებული ქვეყნების ბანაკში

მარშალიზებული ქვეყნების ბანაკში გრძელდება განხეთქილება, რაც გამოიწვია „ამერიკული დახმარების" მიხედვით დოლარების განაწილების საკითხში წამოჭრილმა უთანხმოებამ. როგორც ცნობილია, „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის საბჭომ", რომელიც პარიზში სამი კვირის განმავლობაში იხილავდა 1948-1949 წლებისათვის მარშალის გეგმის მიხედვით ამერიკის ასიგნობათა განაწილების საკითხს, შეთანხმებას ვერ მიაღწია და 3 სექტემბერს იძულებული გახდა სხდომები შეეწყვიტა.

როგორც ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი ამტკიცებს, უთანხმოება იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის საბჭოს" მონაწილეებმა დაჰკარგეს ყოველგვარი შანსი საბჭოს ოფიციალური სხდომის მოწვევისა მანამდე, სანამ მიღწეული არ იქნება შეთანხმება „უმაღლეს ინსტანციებში". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ხსენებულ საბჭოში ჰარიმანი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის ფინანსთა მინისტრ კრიპსთან და ბელგიის პრემიერ-მინისტრ სპააკთან და ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ მათ მხარი დაუჭირონ ასიგნობათა განაწილების ამერიკულ გეგმას.

ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" არ ფარავს თავის შეშფოთებას იმ უთანხმოების გამო, რომელმაც თავი იჩინა მარშალიზებული ქვეყნების ბანაკში, და ახლა ამერიკელ „კეთილისმყოფელთა" საამებლად ცდილობს ჩიხის მიზეზად ის გამოიყვანოს, რომ „ევროპის აღდგენის პროგრამის" მონაწილენი მარშალის გეგმის მიხედვით „დახმარების" განაწილებას ისე ეკიდებიან, როგორც „წმინდა წყლის კომერციულ გარიგებას" და არ სურთ საჭირო დამთმობლობა გამოიჩინონ. ამასთან „ტაიმსი" დუმილით უვლის გვერდს იმის ნამდვილ მიზეზებს, რომ მარშალის გეგმის მონაწილე 17 ქვეყნის წარმომადგენლებმა ვერ შესძლეს შეედგინათ „ამერიკის დახმარების" განაწილების ერთობლივი გეგმა, რომელიც ჰარიმანს ჯერ კიდევ 1 სექტემბრისათვის უნდა წარსდგენოდა.

როგორც ბევრი გაზეთი აღნიშნავს, მოლაპარაკება უწინარეს ყოვლისა იმიტომ მოექცა ჩიხში, რომ ამერიკის წარმომადგენლები ჰოფმანი და ჰარიმანი გადაჭრით მოითხოვდნენ, რომ მარშალის გეგმის მიხედვით ყველაზე დიდი ასიგნობანი მისცემოდა დასავლეთ გერმანიას. თავდაპირველმა ვარაუდმა, რომლითაც ბიზონიისათვის გათვალისწინებული იყო 364 მილიონი დოლარის ასიგნება, ვერ დააკმაყოფილა ოკუპაციის ამერიკული ზონის სარდალი გენერალი კლეი, და მან 100 მილიონი დოლარის დამატებითი მოთხოვნა წამოაყენა. ამერიკელი კორესპონდენტების ცნობებით, ჰოფმანი მტკიცედ მოითხოვს კლეის ამ განაცხადის დაკმაყოფილებას. ბიზონიის წარმომადგენელმა დიურ ვოლტატმა (რომელიც, აქვე უნდა ითქვას, ჰიტლერული რეჟიმის დროს გერინგის მრჩეველი იყო აგრესიული ომის საწარმოებლად გერმანიის რესურსების მობილიზაციის ეგრეთწოდებული „ოთხწლიანი გეგმის" შედგენის საქმეში) განაცხადა, ბიზონია თავისი მოთხოვნების არავითარ შემცირებას არ დათანხმდებაო.

ბიზონიის მოთხოვნებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების მიერ ენერგიული მხარდაჭერა, რამაც მოლაპარაკება ჩიხში მოაქცია, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. იგი ლოგიკური შედეგია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავს გადააქციოს დასავლეთი გერმანია თავის ბაზად სეპარატული დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს სახით. სწორედ ამიტომ, გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის სწრაფ აღდგენას რომ მიაღწიონ, ამერიკელები ითვალისწინებენ მისთვის მნიშვნელოვან უპირატესობათა მინიჭებას იმ ქვეყნების წინაშეც კი, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა აგრესიის მსხვერპლს წარმოადგენდნენ. ამერიკელებმა იმ ქვეყნებს, რომლებსაც მარშალის გეგმა მოიცავს, თანხმობა მოსთხოვეს შეამცირონ თავიანთი ხვედრი დოლართა საერთო თანხაში იმისათვის, რომ გადიდდეს დასავლეთ გერმანიის ხვედრი, ამავე დროს ისინი ითვალისწინებენ რურის მძიმე მრეწველობის — გერმანიის აგრესიის ამ მთავარი არსენალის სწრაფ აღორძინებას.

თვითეული ქვეყნისათვის ასიგნობათა კონკრეტული ხვედრის საკითხის განხილვისას განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა, თუ რაოდენ უმნიშვნელოა „ამერიკული დახმარება". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები იმით ცდილობდნენ გამოენახათ გამოსავალი შექმნილი საძნელო მდგომარეობიდან, რომ წინადადება მისცეს იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჰარბად მოეპოვებათ საგადამხდელო საშუალებანი, გამოუყონ მათთვის გათვალისწინებული ამერიკული დოლარული კრედიტების ნაწილი იმ ქვეყნებს, რომლებიც დოლარების განსაკუთრებით მწვავე ნაკლებობას განიცდიან. მაგალითად, ბელგიამ, ამ წინადადების თანახმად, სხვა ქვეყნებს უნდა გამოუყოს დოლარული თანხების ოთხი მეხუთედი ნაწილი. ცხადია, ამან ბელგიის მკვეთრი წინააღმდეგობა გამოიწვია.

პარიზის მოლაპარაკებაში წარმოშობილი სიძნელენი გამოწვეულია პოლიტიკური მიზეზებითაც. იმ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი, რომლებმაც ჰიტლერული აგრესია განიცადეს, შეშფოთებულია ამერიკის კურსით, რაც მიმართულია პირველ რიგში დასავლეთ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო ძლიერების აღდგენისაკენ. საბოლოოდ რომ არ გაიტეხონ სახელი, დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებმა „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის საბჭოში" ვეღარ გაბედეს აშკარად დაეჭირათ მხარი ამერიკის გეგმებისათვის.

„ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის საბჭოს" წევრთა ცდებმა — წინააღმდეგობა გაუწიონ ჰოფმანისა და ჰარიმანის ნებას — მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის წრეებში არ ფარავენ, რომ ამერიკის კრედიტების განაწილების გეგმის შედგენის შემდგომმა გაჭიანურებამ „შეიძლება დამღუპველი შედეგები გამოიწვიოს და მუშაობა შეაფერხოს, რაც ზიანს მიაყენებდა იმ ქვეყნებს, რომლებზეც მარშალის გეგმა ვრცელდება". ამგვარმა დატუქსვამ, ეტყობა, ჭკუაზე უნდა მოიყვანოს „ურჩები". ამავე მიზანს ისახავს ჰარიმანის მისია, რომელმაც, როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" აღიარებს, „მაქსიმალური ზეგავლენა მოახდინა, რათა მხარი დაეჭირა საბჭოში ბიზონიის ამერიკელ წარმომადგენელთა მოთხოვნებისათვის".

უცხოეთის ბევრი გაზეთი აცხადებს, რომ თუ „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის საბჭოში" 15 სექტემბრამდე მიღწეულ არ იქნა შეერთებული შტატების დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, ეს უკანასკნელნი თვითონ გადასწყვეტენ ასიგნობათა განაწილების საკითხს.

„დასავლეთის ბლოკის" ორგანიზატორთა ახალი მანევრები

ევროპაში ამერიკის ბატონობის ამოცანების რეალიზაციას უნდა ემსახურებოდეს ეგრეთწოდებული „ევროპის პარლამენტართა კავშირის" კონფერენცია, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ინტერლაკენში შესდგა და 4 სექტემბერს დაიხურა. ოფიციალურად გამოცხადებული მიზანი ევროპის სხვადასხვა პარლამენტის 200 წევრის ამ კრებისა, რომლებიც არავის არ აურჩევია და რომლებიც ხალხის მასებს არ წარმოადგენენ, „გაერთიანებული ევროპის" შექმნაა. ეს იდეა ახალი როდია, მაგრამ იგი ყოველთვის მხოლოდ ძლიერ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბლოკების საფარს წარმოადგენდა.

ამ „იდეას" ენერგიულად უჭერდნენ პროპაგანდას, კერძოდ, ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ევროპის" მოძრაობის ამა წლის მაისში ჩერჩილის მიერ მოწყობილ ჰააგის კონგრესზე. ინტერლაკენის კონფერენციის გახსნისას თავმჯდომარემ ჟორჟ ბომ განაცხადა, კონფერენციამ დიდი როლი უნდა შეასრულოს ჰააგაში „ევროპის ერთიანობისათვის" დაწყებულ კამპანიაშიო. ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე მოსამზადებელმა კომიტეტმა მიიღო „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნის ბრიტანული გეგმა.

როგორც ჩერჩილის კონგრესზე ჰააგაში, ისე ინტერლაკენის კონფერენციაზე ცოტა კი არ წარმოითქვა მაღალფარდოვანი და ფარისევლური სიტყვები, რომლებითაც კონფერენციის მონაწილენი ცდილობდნენ შეენიღბათ „გაერთიანებული ევროპის" მოძრაობის ანტიდემოკრატიული, ანტიხალხური და ანტისაბჭოთა მიზნები.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ბლოკის ბირთვი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში შეიქმნა, როდესაც ხელი მოაწერეს ხუთი სახელმწიფოს (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი) ბრიუსელის პაქტს. მას შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ღონისძიებებს მიმართავენ ამ ბლოკის გასაფართოებლად მასში ყველა იმ ქვეყნის შეყვანის გზით, რომლებსაც მარშალის გეგმა მოიცავს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გაფართოებული ბლოკის შექმნა დიდად ხელსაყრელია ამერიკის მმართველი წრეებისათვის, ვინაიდან ეს დაკავშირებულია რაღაც საერთო-ევროპული აპარატის დაარსებასთან, რომლის საშუალებითაც შეერთებული შტატებისათვის უფრო იოლი იქნება წარმართონ ევროპის სახელმწიფოთა განვითარება და პოლიტიკა. ძნელი შესამჩნევი არ არის, თუ რა იმალება ამერიკელთა მთელი ამ საქმიანობის უკან. „გაერთიანებული ევროპის" შექმნის სახით მზადდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტის მოსპობა და მათი საბოლოოდ გადაქცევა ამერიკის იმპერიალისტური გეგმების იარაღად.

ინტერესს მოკლებული არ არის გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ჰააგაში სხდომები ჰქონდა ჩერჩილის კონგრესს, ჰოლანდიურმა გაზეთმა „ნიუვე ჰააგშე კურანტმა" წამოაყრანტალა „გაერთიანებული ევროპის" მოძრაობის ანტისაბჭოთა მიზნები. ხსენებული გაზეთის სიტყვით, ამ „მოძრაობის" მიზნების რეალიზაცია იმის მომასწავებელი იქნება, რომ „საბჭოთა კავშირს დაუპირდაპირდება „გაერთიანებული ევროპის" 16 ქვეყანა და რომ გერმანიაც ამ „გაერთიანებული ევროპის" მონაწილე უნდა იყოსო".

ომის ყველაზე თავგამოდებული გამჩაღებელნი, ანტისაბჭოთა და ანტიდემოკრატიული „დასავლეთი ბლოკის" ორგანიზატორები, აღტაცებით მიესალმნენ ინტერლაკენის კონფერენციას, როგორც ახალ ნაბიჯს თავიანთი გეგმების რეალიზაციის გზაზე. ტყუილად კი არ იყო, რომ ჩერჩილმა ამ კონფერენციას მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, ტყუილად კი არ იყო, რომ ამ კონფერენციას „საპატიო სტუმრად" დაესწრო ყბადაღებული ბულიჩი, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე უსირცხვილო ავანტიურისტი.

რაც უნდა ეცადონ ამერიკის იმპერიალიზმის ინტერლაკენში შეკრებილი აგენტები შენიღბონ თავიანთი ნამდვილი ზრახვები განცხადებებით იმის შესახებ, რომ „გაერთიანებული ევროპის" მიზანს წარმოადგენს თითქოს „ევროპაში იმ პრინციპებისა და მიზნების დამკვიდრება, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ გამოაცხადა", ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობისათვის ნათელია, რომ აქ საქმე ეხება დასავლეთი აგრესიული ბლოკის შეკოწიწებას ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით. სწორედ ამიტომ მშვიდობისა და დემოკრატიის ყველა მომხრენი გადაჭრით ჰგმობენ საეჭვო ფუსფუსს „გაერთიანებული ევროპის" გარშემო. დემოკრატიული ბანაკის ძალები საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ ჩაფუშონ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დარღვევისაკენ მიმართული გეგმები.

ი. მაზური

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა საბერძნეთში

პრაღა, 10 სექტემბერი. (საკდესი). საბერძნეთის პროფკავშირთა ცნობილმა მოღვაწემ აპოსტოლოს გროცოსმა, რომელიც ამჟამად პრაღაში იმყოფება, პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში არიან მუშათა კლასი და მშრომელები იმ რაიონებში, რომლებსაც ათენის მთავრობა უწევს კონტროლს. გროცოსმა განაცხადა, რომ ამ რაიონებში სამრეწველო საქონლის ფასები ომამდელ დონესთან შედარებით 845-ჯერ გადიდდა, მაშინ როცა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი თითქმის უცვლელი დარჩა. ფასებისა და ხელფასის საკითხს საბერძნეთში ამერიკელები სწყვეტენ. „მარშალის გეგმა" ნამდვილი ეროვნული კატასტროფაა საბერძნეთისათვის. მისი განხორციელების შედეგად ბერძენ მუშათა 65 პროცენტმა სამუშაო დაჰკარგა. წინათ საბერძნეთს თავისი თამბაქოს 40 პროცენტი გერმანიასა და ავსტრიაში გაჰქონდა, ახლა ეს ბაზარი ამერიკელებმა ჩაიგდეს ხელში და საბერძნეთის საწყობებში ამჟამად 40 მილიონი კილოგრამი თამბაქო ლპება. 60.000 მუშამ, რომლებიც თამბაქოს მრეწველობაში მუშაობდნენ, სამუშაო დაჰკარგა. უმუშევრობამ უდიდესი მასშტაბი მიიღო აგრეთვე მეზღვაურთა შორის.

„ტუეკანსან სანომატი" ფაგერჰოლმის მთავრობის შესახებ

ჰელსინკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ტუეკანსან სანომატი" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ ფაგერჰოლმის მთავრობამ თავისი მოქმედებით უკვე დაამტკიცა იმ შეფასების სისწორე, რომელიც ამ მთავრობას ფინეთის კომუნისტურმა პარტიამ მისცა მისი შედგენისთანავე. ყოველ ფინელ მოქალაქეს, სწერს გაზეთი, შეუძლია ახლა აღნიშნოს, რომ ფაგერჰოლმის მთავრობამ ამოცანად დაისახა გზა გაუკაფოს რეაქციას, რომ ეს მთავრობა მხოლოდ რეაქციული ბურჟუაზიის ნებას ასრულებს.

ამას მოწმობს, განაგრძობს გაზეთი, ფაგერჰოლმის მთავრობის ისეთი მოქმედება, როგორიცაა სამხედრო ანაზღაურების გაცემისას კაპიტალისტების უკანონო მოგების მოწონება, დემოკრატიულად განწყობილ მოხელეთა დათხოვნა, თავდასხმები სახელმწიფო პოლიციაზე. გაზეთი მოაგონებს მკითხველთ, რომ ფაგერჰოლმის მთავრობამ თავის პროგრამაში გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირთან მეგობრობა, და აღნიშნავს, რომ ნამდვილად მთავრობა მეგობრობას ამყარებს იმათთან, ვინც ფინეთს თავს მოახვია ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთი „მეგობრობის" პირველი დამამტკიცებელი საბუთი იყო კიევიმიაკის განთავისუფლება, აგრეთვე ომის სხვა გამომწვევთა განთავისუფლების გეგმები.

დასასრულ გაზეთი სწერს, რომ ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ კომუნისტურმა პარტიამ აღნიშნა, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების „მესამე გზა" ფინეთს მიიყვანს საგარეო-პოლიტიკურ კონფლიქტებამდე, რომლებიც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ფინეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დრომ ცხადჰყო ასეთი დასკვნის სრული საფუძვლიანობა. „ტუეკანსან სანომატი" ყველა ფინელს მოუწოდებს აღარ დაუჭირონ მხარი ფაგერჰოლმის მთავრობას.

ინდონეზიაში ერთიანი ფრონტის შექმნისათვის

ლონდონი, 10 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან (ბატავია) გადმოგვცემს, რესპუბლიკური სააგენტოს ანტარას ცნობის თანახმად, ინდონეზიის კომუნისტურმა პარტიამ მიიწვია ინდონეზიის ორი უდიდესი პარტია — მუსლიმანთა პარტია „მასიუმი" და ეროვნული პარტია — მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებულ კონფერენციაში, რომლის მიზანიც ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნაა. მუსლიმანურმა და ეროვნულმა პარტიებმა განაცხადეს, რომ განიხილავენ კომუნისტური პარტიის წინადადებას.

ინდონეზიის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამო

ჰააგა, 10 სექტემბერი. (საკდესი). ჰოლანდიის გაზეთების ცნობით, ინდონეზიის რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია იმ პოლიტიკით, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ინდონეზიის კონფლიქტის გადასაჭრელად. რესპუბლიკელები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა მიმართულია არა ჰოლანდია-ინდონეზიის კონფლიქტის სამართლიანად გადაჭრისაკენ, არამედ ჰოლანდიის ინტერესების უზრუნველყოფისაკენ.

გაზეთებს მოჰყავთ რესპუბლიკელთა ცნობილი ლიდერის ამირ შარიფუდინის აზრი. მან განაცხადა: „მე არა მჯერა, რომ ამერიკელები აპირებდნენ პატიოსნად შეუწყონ ხელი ინდონეზია-ჰოლანდიის კონფლიქტის სამართლიანად გადაჭრას. ჩვენი ერთადერთი იმედი რუსეთია".

ახალი სავაჭრო შეთანხმება უნგრეთსა და ბულგარეთს შორის

სოფია, 10 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილია ახალი სავაჭრო შეთანხმება.

ახალი სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს ორივე ქვეყანას შორის საქონელბრუნვის მნიშვნელოვან გაფართოებას. უნგრეთი ბულგარეთში უმთავრესად შეიტანს მანქანებს, სხვადასხვა მოწყობილობას, ლითონს, ელექტრომოწყობილობას, ქიმიკალებსა და მედიკამენტებს. ბულგარეთი უნგრეთს მიაწოდებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, აგრეთვე მადანსა და სხვა საქონელს.

პროტესტები იტალიაში პროფკავშირულ ხელმძღვანელთა დაპატიმრების წინააღმდეგ

რომი, 10 სექტემბერი. (საკდესი). მანტუიდან მიღებული ცნობით, გუშინდელ საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა მანტუის პროვინციის მშრომელთა ყველა კატეგორია. გაფიცვის დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. ქალაქ მანტუასა და პროვინციის სხვა ცენტრებში შესდგა გაფიცულთა მიტინგები და დემონსტრაციები. მიუხედავად შრომის პალატის მიერ გადადგმული ნაბიჯისა, ხელისუფლებს კვლავ საპყრობილეში ჰყავთ 7 სექტემბერს ღამით დაპატიმრებული 37 კაცი.

ინგლისი და „მარშალის გეგმა"

ლონდონი, 10 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" პოლიტიკური მიმომხილველი სწერს, რომ „ჰარიმანის რჩევით" ეგრეთწოდებული „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის" ორგანიზაცია აპირებს მიიღოს გეგმა, რომლის ძალითაც გერმანიის დასავლეთი ზონებისათვის გამოყოფა „მარშალის გეგმით" გათვალისწინებული დახმარების გაცილებით მეტი წილი, ვიდრე წინათ სხვა ქვეყნები და, მათ შორის ინგლისი, წინადადებას იძლეოდნენ.

გარდა ამისა, ინგლისმა უნდა გამოჰყოს მიწოდებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა დასავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებში ექსპორტის სახით, რისთვისაც ინგლისი სათანადო კომპენსაციას ვერ მიიღებს.

მორის ტორეზის გამოსვლა მიტინგზე პარიზში

პარიზი, 10 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ პარიზში, საზამთრო ველოდრომის შენობაში, ჟაკ დიუკლოს თავმჯდომარეობით შესდგა პარიზის მშრომელთა მიტინგი. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა. საზამთრო ველოდრომის ვეებერთელა დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ათასობით პარიზელი შეიკრიბა ქუჩებზე დარბაზის გარშემო დადგმულ ხმამაღლამოლაპარაკე რადიოაპარატებთან, რომ მორის ტორეზის სიტყვა მოესმინათ.

შესავალ სიტყვაში ჟაკ დიუკლო შეეხო საფრანგეთში შექმნილ მდგომარეობას და სთქვა: „ერთი თვის განმავლობაში 3 მთავრობა დაეცა ხალხის მასების ზეგავლენით, და ვერავითარი მეჭარა ვერ შეაჩერებს ხალხს, რომელიც დარწმუნებულია თავის ძალებში".

„სოციალისტები, — განაგრძო ორატორმა, — ცდილობდნენ ორ ფრონტზე ბრძოლას. დღეს ისინი მხილებულნი არიან. ანრი კეი ცდილობს დეგოლელების მხარდაჭერა ჰპოვოს, და სოციალისტები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ასეთ მთავრობაში".

„ჩვენ გვსურს დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა, — განაცხადა ჟაკ დიუკლომ, — მთავრობა, რომელიც გაატარებს საფრანგეთის ინტერესების დაცვის პოლიტიკას, ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკას, რესპუბლიკისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკას".

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა, რომელსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

თავის სიტყვაში მორის ტორეზმა ამხილა საფრანგეთის წინა მთავრობების რეაქციული ანტიმუშური და ანტირესპუბლიკური პოლიტიკა. „მიტინგზე შეკრებილთა რიცხვი, — სთქვა მან, — იმის მოწმობს, თუ რამდენად შეშფოთებულია ხალხი მთავრობის განუწყვეტელი კრიზისებით. ეს მდგომარეობა შეიქმნა გენერალ დე გოლის ირგვლივ დაჯგუფებულ შეამბოხეთა მოქმედების შედეგად".

„როგორია ამ კრიზისების მიზეზები?" — აყენებს კითხვას მორის ტორეზი და უპასუხებს: „ესაა მშრომელი მასების უფრო-და-უფრო მზარდი უკმაყოფილება, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს „მარშალის გეგმა", ესაა ფასების გადიდება, მეტად დაბალი ხელფასი, უმუშევრობის განუწყვეტელი ზრდა, სიღატაკე, აგრეთვე ერთიანობისათვის მოძრაობა, რომელმაც მთელი მუშათა კლასი მოიცვა".

„მშრომელთა აღშფოთება, — განაგრძობს მორის ტორეზი, — კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა პოლ რეინო. პოლ რეინოს გამოჩენა და მშრომელი მასების ზეგავლენით მთავრობიდან მისი გაძევება მუშათა კლასის ძალებსა და კაპიტალიზმის ძალებს შორის ბრძოლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ეპიზოდია.

წინათ რეაქცია ჰიტლერს ეყრდნობოდა, შემდეგ მან დასავლეთ სახელმწიფოებზე იწყო დაყრდნობა. ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა მსხვერპლად შესწირეს. დე გოლის მთავრობა შეუდგა პრივილეგიური კლასების ინტერესთა დაცვას. კოლაბორაციონისტები, ვიშის მოხელენი, ულირსი გენერლები განთავისუფლებულ იქნენ, მაგრამ მან (დე გოლმა) ვერ მოახერხა დემოკრატიული ბლოკის ჩახშობა და იძულებული გახდა გასულიყო მთავრობიდან, რადგან არ სურდა მართვა მუშათა კლასის კონტროლით.

ლეონ ბლუმმა ხელი შეუწყო ამერიკის გავლენისადმი დაქვემდებარებულ მთავრობათა შედგენას, რომელნიც საფრანგეთის დამონების პოლიტიკას ახორციელებდნენ. ოკეანის გაღმიდან ნაკარნახევი ეს პოლიტიკა იწვევს ხალხის მასების უფრო და უფრო მეტ აღშფოთებას. ხალხის მასების მოძრაობამ შეაჩერა ბლუმ-რეინოს პროგრამის განხორციელება".

შემდეგ მორის ტორეზმა ამხილა დეგოლელების დემაგოგიური მანევრები ეროვნულ კრებაში და სოციალისტების მანევრები ხელფასის საკითხში და აღნიშნა, რომ ლეონ ბლუმი და რამადიე მუდამ წინააღმდეგი იყვნენ მშრომელთა ხელფასის გადიდებისა, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია იბრძვის ხელფასის ნამდვილი გადიდებისათვის.

მშრომელთათვის ხელფასის გადიდებაზე უარი რომ ეთქვა, ბლუმმა გამოიგონა „ფასებისა და ხელფასის „მოჯადოებული წრის" თეორია. ნამდვილად კი ამერიკის ელჩმა პარიზში აკრძალა მშრომელებისათვის ხელფასის გადიდება. აი „მარშალის გეგმის" ნამდვილი სახე.

„ხალხი მოითხოვს შეიქმნას დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა, რომელიც ისარგებლებს მუშათა კლასის ნდობით, ხალხის ნდობით და რომელიც დაეყრდნობა მუშათა კლასსა და ხალხს ეროვნული ხსნის პროგრამის განსახორციელებლად; მთავრობა, რომელიც დაარღვევს საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის ზიანის მიმყენებელ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს; მთავრობა, რომელიც გაატარებს ყველა ქვეყანასთან მეგობრობისა და მშვიდობის პოლიტიკას და არ დაივიწყებს, რომ მიუნხენელებისა და ვიშისტების ბრმა სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი და ევროპასა და მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის როლისა და მნიშვნელობის უარყოფა იყო იმ უბედურების მიზეზი, რომელიც თავს დაგვატყდა ჩვენ.

ჩვენ გვინდა ისეთი მთავრობა, — ამბობს ტორეზი, — რომელიც დაამყარებს სავაჭრო ურთიერთობას ყველა ქვეყანასთან თანასწორობისა და სრული დამოუკიდებლობის საფუძველზე, რომელიც მხარს დაუჭერს უოლესის იმ წინადადებას, რომ ამერიკის დახმარებას ანაწილებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მყოფი ევროპის ეკონომიური კომისია; მთავრობა, რომელიც ლოიალურად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, დაიცავს საფრანგეთის უშიშროებისა და რეპარაციების წმიდა უფლებებს, დაუყოვნებლივ შესწყვეტს ომს ვიეტნამში და სკანდალურ კოლონიზატორულ მოქმედებას მადაგასკარზე და მთელ საფრანგეთის კავშირში.

ჩვენ გვინდა მთავრობა, რომელიც ჩვენი არმიის რეორგანიზაციას მოახდენს დემოკრატიულ, სახალხო საფუძველზე და 200 მილიარდ ფრანკით მაინც შეამცირებს სამხედრო ხარჯებს, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ახალ აღმავლობას იმით, რომ ნამდვილად აამაღლებს მშრომელი მასების საარსებო დონეს, რომელნიც ფასების შემცირებისათვის ბრძოლაში გაერთიანებული არიან საწარმოებთან არსებულ კომიტეტებში, ცხოვრების სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლველად დიასახლისთა კომიტეტებში, გაადიდებს გადასახადებს კაპიტალისტურ მოგებაზე, რაც ამ 18 თვის განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდება.

ჩვენ გვსურს მთავრობა, რომელიც უზრუნველჰყოფს პროფკავშირულ თავისუფლებას, უარჰყოფს თვითნებობის პროექტებს, რომლებიც მიმართულია გაფიცვების იმ უფლების წინააღმდეგ, რაც ჩაწერილია კონსტიტუციაში, მთავრობა, რომელიც ჩაატარებს სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ეფექტურ ხელახალ ატესტაციას, შექმნის პირობებს ადმინისტრაციულ აპარატში ნამდვილი რეფორმის გატარებისათვის და დაიცავს ნაციონალიზებულ საწარმოებს.

ხალხი მოითხოვს მთავრობას, რომელიც დაიცავს საერო სკოლას მისი მტრებისაგან, ნაცვლად იმისა, რომ გადააქციოს იგი რელიგიურ დაწესებულებათა ინსტრუმენტად მათს ბრძოლაში განათლების საერო ხასიათის წინააღმდეგ. ხალხი მოითხოვს მთავრობას, რომელიც შესწყვეტს წინააღმდეგობის მოძრაობის ნამდვილ მონაწილეთა და ისეთ პატრიოტთა დევნას, როგორიც არიან რუსო, ფილიპო და სხვები, და იბრძოლებს რესპუბლიკის მტრების, ვიშისტებისა და ნეოდეგოლელების — დე გოლის გარშემო გაერთიანებული შეამბოხეების წინააღმდეგ".

შემდეგ ტორეზმა მოუწოდა სოციალისტური პარტიის წევრებს განამტკიცონ მოქმედების ერთიანობა.

მორის ტორეზის მოხსენების შემდეგ მიტინგის 50 ათასმა მონაწილემ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნის მოთხოვნას და ადასტურებს სრულ თანხმობას კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებულ და მორის ტორეზის მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკასთან.

ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიული ნედლეულის მარაგს ჰქმნიან

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, რომ „მარშალის გეგმის" განხორციელების ადმინისტრაციასთან არსებული სტრატეგიული ნედლეულის განყოფილების ხელმძღვანელმა ჯასტმა მას შემდეგ, რაც დაამთავრა ამას წინათ ევროპაში მოგზაურობის დროს წარმოებული მოლაპარაკება სტრატეგიული ნედლეულის მარაგის შექმნის თაობაზე პირველ შეთანხმებათა დადების შესახებ, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „მარშალის გეგმის" განხორციელების ადმინისტრაციამ ინგლისის მთავრობისაგან შეისყიდა 25 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი კაუჩუკი, რომელიც მარაგის შექმნას მოხმარდება. ჯასტმა უარი სთქვა განეცხადებინა, თუ რამდენი კაუჩუკი შეძენა სურთ შეერთებულ შტატებს და რა ფასად იძენენ ამ კაუჩუკს, მაგრამ, არსებული ცნობების თანახმად, ყოველი გირვანქა 22-25 ცენტად ჯდება. ჯასტმა აგრეთვე განაცხადა, რომ ინგლისური ფირმებისაგან შესყიდულია 2 ათასი ტონა სიზალი (ქერელის ჯიში). ჯასტმა განაცხადა, რომ გრძელდება მოლაპარაკება აზბესტის, გრაფიტის, ქარსისა და ბოქსიტების შესყიდვის შესახებ.

საქართველოს სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო

12 სექტემბერს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის (ყოფილი მუშტაიდი) საზაფხულო თეატრში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვა მწერალი შალვა დადიანი.

მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და მწერლები: ი. აბაშელი, ი. აბაშიძე, კ. ბობოხიძე, ვ. გაბესკირია, ა. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, ი. ვაკელი, ს. თავაძე, ა. თევზაძე, მ. მრევლიშვილი, ი. მოსაშვილი, ი. ნონეშვილი, გ. ცეცხლაძე, ი. ხოშტარია, რ. ჭორჭია.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსებს წაიკითხავენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები თ. ჭავჭავაძე და პ. კობახიძე.

პარკის სამკითხველოში მოეწყობა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ქართველი მწერლების მასალები გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ჩვენს დედაქალაქში

⊙ ფილარმონიის დარბაზში (პლეხანოვის პრ., № 123) დღეს მოსკოვის ოპერეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობები გამართავენ საღამოს ახალი პროგრამით.

⊙ 12 სექტემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. კონცერტს ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი.

⊙ ბერიას რაიონში დამთავრდა ზოგიერთი ქუჩის კაპიტალური რემონტი. მოასფალტებულია დავითაშვილის, ლერმონტოვის, ფურცელაძისა და სხვა ქუჩები.

ხმის ჩამწერი სტუდია

თბილისის კულტურის და დასვენების პარკებმა ზაფხულის პერიოდში მოაწყეს ხმის ჩამწერი სტუდია.

ამ სტუდიაში ყოველ მოქალაქეს შეუძლია ჩასწეროს ფირფიტაზე სიმღერა, საუბარი, ბავშვის ხმა, ინსტრუმენტალური შესრულება.

ამჟამად სტუდია დაუკავშირდა თბილისის ზოგიერთ მუსიკალურ სკოლას, სადაც ატარებს საინტერესო მუშაობას მოსწავლეებთან — სწერს ფირფიტებზე მათ მიერ შესრულებულ გაკვეთილებს, კონცერტებს, რაც მოსწავლეებს თავის თავზე მუშაობაში ეხმარება.

ხმის ჩამწერი სტუდია დახმარებას უწევს აგრეთვე საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმს ფოლკლორული მასალის ფიქსირების საქმეში. საჭიროა აღინიშნოს ჩაწერის კარგი ხარისხი.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

13 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მუშაკთათვის შესდგება დოცენტ **ლ. გორგილაძის** ლექცია თემაზე: **„მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკური ნაშრომი — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი"**.

13 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკთათვის შესდგება ამხ. თავხელიძის ლექცია თემაზე: **„ი. ბ. სტალინის თხზულებათა V ტომი"**.

13 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. **მირიანაშვილისა** და ამხ. **ნოღაიდელის** კონსულტაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში.

თეატრებში

12 სექტემბერს: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დღისით — „რუსალკა", საღამოთი — „ტრავიატა"; **რუსთაველის სახელობის** — „ქეთევან დედოფალი"; **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — 11 საათზე — „ყაჩაღები", საღამოთი — „ვერაგობა და სიყვარული"; **სანკულტურის** — „უფსკრულის პირას".

კინოებში

12 სექტემბერს: „რუსთაველი", „ოქტომბერი", „თბილისი", „კომკავშირელი" — „სიმღერა შენთვის"; **„სპარტაკი"** — „ოპერეტა"; **26 კომისრის სახელობის** — „ანდალუზიის ღამეები" (I დარბაზი), „სიმღერა შენთვის" (II დარბაზი), „ამანგელდი" (III დარბაზი); **„კოლმეურნე"** — „გაქცევა კატორღიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ კურსებზე სწარმოებს მსმენელთა მიღება 1948-49 სასწავლო წლისათვის.

კურსებს აქვს ორი განყოფილება: **სტენოგრაფიისა** და **მანქანაზე წერისა.** კურსები ამზადებს შემდეგი კვალიფიკაციის მუშაკებს: **ურილობის სტენოგრაფებს, სტენოგრაფებს, სტენოგრაფ-მემანქანეებს, სტენოგრაფ-მდივნებს, მემანქანეებს, მემანქანე-მდივნებს.**

სწავლის ვადა სტენოგრაფიის განყოფილებაზე ორ და სამწლიანია, ხოლო მანქანაზე წერის განყოფილებაზე ერთწლიანი. სწავლა ფასიანია.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში (წერეთლის ქ. № 32), ყოველდღე გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 5-დან 10 საათამდე.

მოქალაქე **ვლადიმერ ილიას-ძე ბიბილურმა,** მცხოვრებმა ახალი ვარვარის ქ. № 17, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **შუშანა იაკობის ასულ ბიბილურთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ვასაძე, ტაბლიაშვილი, კაკაია, აბესაძე, ყველაშვილი, სანიკა, ბეშიტაშვილი, ასათიანი, ქუქუნაშვილი, თევზაია, კალანდარიშვილი, დულაძე, სიმონია, ბაქრაძე-მელიქოვა, გავალოვი იუწყებიან აბესალომ იობიძის დედის **მაკრინეს** გარდაცვალებას.

მ. გაბრიჩიძე, ს. მაღლაკელიძე, ვ. ხუხუნაიშვილი, დ. პერტაია, შ. ჩხეტია, ა. გაბიჩვაძე, გ. ჯინჭარაძე, ვ. სანიკიძე, ა. ბალავაძე, თ. სახოკია იუწყებიან აბესალომ იობიძის დედის **მაკრინეს** გარდაცვალებას.

საქართველოს რადიოკომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან გერმანე გიორგაძის დედის **ნატალიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX, ს. ცხემლისხიდში (მახარაძის რ.).

მეუღლე ოლია, და სოფიო, შვილები ლიზა, ევა, ლადო, თამარ, სიძე გრიშა, რძალი თამარ ოჯახებით იუწყებიან **ალექსანდრე ივანეს-ძე ეფრემიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX ქემერთში.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის თანამშრომლები იუწყებიან აბესალომ იობიძის დედის **მაკრინეს** გარდაცვალებას.

ი. ანდრონიკაშვილი, ა. რამიშვილი, ი. შუბლაძე, ბ. პირადოვი, ქ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძე, ვ. კუპრაძე, თ. კიპაროიძე, ნ. თედორაძე, ბ. ტაბიძე, შ. ჩახალოზიანი, ბ. მიქაძე, ა. წერეთლი, გ. ძიმისტარაშვილი, ე. გრაჩოვა, ლ. უკლება იუწყებიან აბესალომ იობიძის დედის **მაკრინეს** გარდაცვალებას.

მშობლები კატო და შოთა, და გულნარა, მამიდა ანიჩკა პეტრიაშვილები იუწყებიან **ჯიმი შოთას-ძე პეტრიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX თელავში.

შვილები ვანო, ლეონ, გერმანე, ელიადა და ბაბო გიორგაძეები იუწყებიან **ნატალია გიორგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX, ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი).

მეუღლე ივანე, შვილი სარა სპარსიაშვილები, და ბაბე ქურციკაშვილი, ძმა ივანე ჯღმიაშვილი, სიძე ვლადიმერ მუჯირი შვილით ჯიმშერით, რძალი ანეტა შვილებით, დისწულები ქეთო, ნუნუ დორეულები, მიტო, კლარა ქურციკაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ივლიტა დიმიტრის ასულ სპარსიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX თელავში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის № 28. ტირაჟი 113.000 უე 13654